



რეკომენდაციები
მართლწესრიგის დაცვის თაობაზე
მრავალეროვან საზოგადოებებში

თებერვალი 2006

რეკომენდაციები

მართლწესრიგის დაცვის თაობაზე

მრავალეროვან საზოგადოებებში

თებერვალი 2006

გამოცემული და გავრცელებულია **ეუთო-ს** (ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისრის (ეუუკ) მიერ

ამ ბუკლეტში მოცემული ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ თავისუფლად გამოიყენოთ; სასურველი იქნება გამოყენებისას მიუთითოთ პირველწყარო.

ISBN-10: 90-7598909-1

ISBN-13: 978-90-75989-09-0

© ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისარი **2006**

ქართული გამოცემა **2006**

გამოცემულია ნიდერლანდებში

ბუკლეტი ხელმისაწვდომია სხვა ენებზე (კერძოდ ინგლისურადა და რუსულად). ასევე ელექტრონული ვარიანტი შეგიძლიათ გადმოტვირთოთ შემდეგი მისამართიდან (<http://www.osce.org/hcnm/>):

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ:

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის
ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლეს კომისარს
Prinsessegracht 22

2514 AP ჰააგა

ტელეფონი: +31(0)70 312 5550

ფაქსი: +31(0)70 636 5910

ელ ფოსტა: hcnm@hcnm.org

ვებ გვერდი: www.osce.org/hcnm/

შესავალი

1992 წლის ივლისში ჰელსინკში მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) დააფუძნა ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისრის თანამდებობა, რომელიც მოწოდებულია “რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე შეუწყოს ხელი ეროვნულ უმცირესობათა კონფლიქტის თავიდან აცილებას”. ეს მანდატი ძირითადად წარმოადგენდა რეაგირებას ყოფილ იუგოსლავიაში შექმნილ ვითარებაზე. არსებობდა საშიშროება, რომ მსგავსი შემთხვევები განმეორდებოდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატიის მშენებლობის გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან და ამგვარად გაქარწყლდებოდა მშვიდობისა და შედგომი კეთილდღეობის მიღწევის იმედი, რაც გათვალისწინებულია 1990 წლის ნოემბერში სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ ახალი ევროპისათვის შემუშავებულ პარიზის ქარტიაში

ათი წლის მანძილზე, ინტენსიური საქმიანობის შედეგად, ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესმა კომისარმა შესძლო გამოეკვლინა ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებთან დაკავშირებული რამდენიმე განმეორებადი საკითხი და თემა, რომლებიც ისევ და ისევ იჩენდნენ თავს მთელ რიგ ქვეყნებში სადაც იგი მოღვაწეობს და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდნენ. ამათ შორისაა ესენი: ეროვნულ უმცირესობათა განათლებისა და მათი ენების გამოყენების საკითხები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რათა იმ ადამიანებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, შეინარჩუნონ თვითმყოფადობა და შესძლონ შედგომი განვითარება. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები შეეხება ეროვნულ უმცირესობათა ქმედით მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში და უმცირესობათა ენების – როგორც საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებას ტელერადიომაუწყებლობაში. ეუთოს ფარგლებში ეროვნულ უმცირესობათა შესაბამისი უფლებების სათანადოდ და თანმიმდევრულად გამოყენების მიზნით, ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესმა კომისარმა თხოვნით მიმართა მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ დამოუკიდებელ ექსპერტთა ოთხ ჯგუფს, რათა შეემუშავებინათ რეკომენდაციათა ოთხი პაკეტი ამ განმეორებად საკითხებზე. ეს რეკომენდაციებია: ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა საგანმანათლებლო უფლებების შესახებ (1996); ოსლოს რეკომენდაციები ეროვნული უმცირესობების ენობრივი უფლებების შესახებ (1998); ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ეფექტური მონაწილეობის შესახებ (1999); და მითითებები ეროვნულ უმცირესობათა ენების ტელერადიომაუწყებლობაში გამოყენების შესახებ (2003). ეს დოკუმენტები შედგომი საფუძვლად დაედო მთელ რიგ სახელმწიფოებში კანონმდებელთა და პოლიტიკოსთა რეკომენდაციებს. რეკომენდაციების ტექსტი (რამდენიმე ენაზე) შეგიძლიათ მოითხოვოთ უფასოდ ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი

კომისრის ოფისიდან და აგრეთვე გადმოტვირთოთ ელექტრონული ვერსია (www.osce.org/ge/ჰცნმ.)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის წინაშე არაერთგზის წამოიჭრა, არის მრავალეროვან საზოგადოებებში მართლწესრიგის დაცვა. მთელ რიგ სახელმწიფოებში ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისარი წააწყდა ისეთი ინსტიტუციური მექანიზმების უქონლობას, რომლებიც აუცილებელია პოლიციასა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ამას თან ერთვოდა ისიც, რომ პოლიციის თანამშრომლებს არ ჰქონდათ გავლილი სათანადო წვრთნა მრავალეროვან საზოგადოებაში მართლწესრიგის დასამყარებლად, ხშირ შემთხვევაში პოლიცია მონო-ეთნიკური შემაღვანლობის იყო და მისი დისკრიმინაციული მოქმედებები იწვევდა უარყოფით რეაქციას ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან. ზოგიერთ სიტუაციაში, პოლიციის მოქმედება კონფლიქტის კატალიზატორიც კი გამხდარა. ამის საპირისპიროდ, სხვა სახელმწიფოებზე დაკვირვებამ ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლეს კომისარს დაანახა, რომ პოლიციის შემაღვანლობის უფრო წარმომადგენლობითად გადაქცევა და აგრეთვე, პოლიციასა და ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მცდელობა, არა მარტო აძლიერებს ეროვნებათშორის ურთიერთობას, არამედ საგრძნობლად ზრდის პოლიციის ოპერატიულ ქმედითუნარიანობას.

პოლიციის ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის გათვალისწინებით, ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისარი შეუდგა მართლწესრიგის დაცვის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილებებისა გაანალიზებას. ამ მიზნით, მან ეუთოს სამდივნოს პოლიციის ოპერატიული საქმიანობის განყოფილებასთან შეთანხმებით დანიშნა მრჩეველი (დოქტორი რობინ ოაკლი, დამოუკიდებელი კონსულტანტი და ლონდონის როიალ ჰოლოვეი უნივერსიტეტის ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების კვლევითი ცენტრის საპატიო მეცნიერ-მკვლევარი), ამასთანავე შეკრიბა ჯგუფი, რომლის შემაღვანლობაში შედიოდნენ განსაკუთრებული გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები – შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, პოლიციის ხელმძღვანელი მუშაკები, დამოუკიდებელი ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. თავდაპირველი შეხვედრა ამ ექსპერტებისა ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესმა კომისარმა შეკრიბა 2005 წლის ივნისში, ამას მოჰყვა მეორე შეხვედრა ოქტომბერში, ხოლო დასკვნითი შეხვედრა შედგა დეკემბერში. ამ შეკრებების შედეგად შემუშავებულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებებში მართლწესრიგის დაცვის რეკომენდაციათა შემდეგი პაკეტი.

დამოუკიდებელი ექსპერტები იყვნენ:

- ბატონი სტივ ბენეტი, პოლიციის განათლებისა და განვითარების პროგრამის დირექტორი, ეუთოს მისია კოსოვოში;
- ქალბატონი ილზე ბრანდს კერისი, ლატვიის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეთნოლოგიის ცენტრის დირექტორი;
- დოქტორი ანასტასია ქრიქლი, ევროპაში რასიზმისა და ქსენოფობიის მეთვალყურეობის ცენტრის თავმჯდომარე;
- ბატონი ფრანჩესკა გუილენი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის აპარატის ხელმძღვანელი, კატალონიის მთავრობა, ესპანეთი;
- პროფესორი ქრისტინ ჰენრადი, გრონინგენის უნივერსიტეტის საერთაშორისო და კონსტიტუციური სამართლის ფაკულტეტი;
- დოქტორი გორდან კალაიჯიევი, აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მაკედონიაში ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის კომიტეტი;
- დოქტორი იენო კალტენბახი, უნგრეთის პარლამენტის რწმუნებული ეროვნულ და ეთნიკური უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხში;
- ბატონი მაიკლ კელეტი, ევროპის საბჭოს პოლიციის და ადამიანის უფლებათა დაცვის კოორდინატორთა ქსელის წარმომადგენელი, დიდი ბრიტანეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონის აქტივთა აღდგენის ჯგუფის ხელმძღვანელი;
- დოქტორი რობინ ოუკლი, დამოუკიდებელი კონსულტანტი;
- ბატონი სტივ ოდორფი, პოლიციის განყოფილების თანამშრომელი, ევროკავშირის გენერალური სამდივნო, ევროკავშირის საბჭო;
- ბატონი ტიმოთი პარსონსი, სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებათა საკითხების ექსპერტი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პროგრამა;
- ბატონი კარლ პეტერსონი, პასუხისმგებელი პირი პოლიციის მუშაობის საკითხებში, პოლიციის სტრატეგიულ საკითხთა განყოფილება, ეუთოს სამდივნო;
- ბატონი ივან შუშკევიჩი, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, რუსეთის ფედერაციის სამხედრო მეთაურთა კლუბის გენერალური დირექტორის მოადგილე;
- ბატონი კრის ტეილორი, დამოუკიდებელი კონსულტანტი;
- ბატონი რინუს ვისერი, ნიდერლანდების პოლიციის აკადემია.

დართული რეკომენდაციების, ისევე როგორც ჰააგის, ოსლოს, ლუნდის და უფრო ადრე შემუშავებული მასობრივ ინფორმაციის საშუალებათა დირექტივების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა მიერ იმ კონკრეტული ზომების მიღებას, რომლებიც შეამცირებენ დაძაბულობას ეროვნულ უმცირესობათა შორის, რითაც თავის მხრივ ხელს შეუწყობენ კონფლიქტების თავიდან აცილებას. სწორედ ეს არის ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისრის მთავარი მიზანი. რეკომენდაციები ფორმულირებულია “მრავალეროვან საზოგადოებებში” “ეროვნულ უმცირესობათა” შორის მართლწესრიგის დაცვის თვალსაზრისით. ექსპერტების აზრით,

ტერმინი “ეროვნული უმცირესობანი” მოიცავს უმცირესობათა ჯგუფების ფართო სპექტრს - რელიგიურ, ენობრივ, კულტურულ და ასევე ეთნიკურ უმცირესობებს. ეს რეკომენდაციები პრინციპში ეხება ყველა ამ ჯგუფს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეკომენდაციებში სიტყვა “უმცირესობანი” გამოიყენება როგორც ერთგვარი ხელსაყრელი შემოკლება ფრაზისა - “პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას”

ეს რეკომენდაციები მიზნად ისახავს სახელმწიფოებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების გაწევას ისეთი პოლიტიკის და კანონმდებლობის შემუშავებაში, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს. რეკომენდაციები ემყარება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებებს და პრაქტიკას, რომლებსაც შესწევთ გაწონასწორებისა და მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარი, იმ პირობის ჩათვლით, რომლებიც ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან. ცხადია, რომ რეკომენდაციების განხორციელება უნდა მოხდეს მოცემულ სახელმწიფოში რეალურ სიტუაციაზე დაყრდნობით. უნდა იქნას გათვალისწინებული ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა პოლიციის მიმდინარე რეფორმა და კონკრეტული სიტუაცია ადგილებზე.

რეკომენდაციები დაყოფილია ექვს ქვესათაურად, რომლებშიც დაჯგუფებულია ოცდასამი ინდივიდუალური რეკომენდაცია შემდეგნაირად: ზოგადი პრინციპები; დასაქმება და წარმომადგენლობა; მომზადება (ტრენინგი) და პროფესიული მზარდაჭერა; ურთიერთობა ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებებთან; ოპერატიული პრაქტიკა; და კონფლიქტის თავიდან აცილება და მართვა. ყველა რეკომენდაცია უნდა იქნას განმარტებული პირველ ნაწილში მოყვანილი ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რომელიც აგრეთვე ადგენს მოცემულ სფეროში სახელმწიფოთა მიერ პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების აუცილებლობას და იძლევა შესაბამის რჩევებს. მეორედან მეოთხე ნაწილის ჩათვლით მოცემულია გარკვეული მითითებანი მთავრობის, პოლიციისა და ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებების მუშაობის შესახებ. უფრო სრულყოფილი განმარტება თოთოეული რეკომენდაციისა მოცემულია დართულ ახსნა-განმარტებებში, რომელშიც პირდაპირ მითითებულია შესატყვისი საერთაშორისო სტანდარტები და განხილულია მოწინავე პრაქტიკის მაგალითები.

რეკომენდაციების ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მრავალეროვან საზოგადოებაში მართლწესრიგის დაცვა დამოკიდებულია პოლიციისა და ეროვნულ უმცირესობებს შორის ნდობისა და რწმენის ფაქტორზე, რომელიც დაფუძნებულია რეგულარულ ურთიერთობასა და პრაქტიკულ თანამშრომლობაზე. ასეთი ურთიერთობება ყველა მხარეს გამოადგება. ეროვნულ უმცირესობებს აწყობთ მართლწესრიგის ისეთი დაცვა, რომელიც უფრო მოქნილად რეაგირებს მათ პრობლემებზე და უფრო აქტიურად პასუხობს მათ მოთხოვნილებებს, როგორც პიროვნების პერსონალური დაცვის, ასევე სამართლიანობის მოპოვების საქმეში.

პოლიცია, თავის მხრივ, სარგებლობს გაზრდილი ეფექტურობით იმდენად, რამდენადაც ნებისმიერ სახელმწიფოში წარმატებული კომუნიკაცია და თანამშრომლობა მართლწესრიგის ეფექტური დაცვის საწინდარია. სახელმწიფო კი სარგებლობს როგორც ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციით, აგრეთვე მართლწესრიგის დაცვის მზარდი ეფექტურობით. მოცემული რეკომენდაციები ახალ პერსპექტივებს სახავენ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ისწრაფვიან ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრირებისაკენ და აგრეთვე მართლწესრიგის დაცვის სფეროში პროფესიონალიზმზე დაფუძნებული მომსახურების შემუშავებისაკენ.

ვიმედოვნებთ, რომ ეს რეკომენდაციები ფართოდ იქნება გავრცელებული და გამოყენებული.

რეკომენდაციები მართლწესრიგის დაცვის თაობაზე მრავალეროვან საზოგადოებებში

I. ძირითადი პრინციპები

1. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც აშკარად აღიარებს მართლწესრიგის დაცვის მნიშვნელობას ეროვნებათშორისი ურთიერთობებისათვის. ეს პოლიტიკა უნდა გახდეს უფრო ფართო მასშტაბის პოლიტიკისა და პროგრამების შემადგენელი ნაწილი, რაც ხელს შეუწყობს უმცირესობათა ინტეგრაციას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. პოლიტიკის კოორდინაციაც უნდა ხდებოდეს უფრო ფართო მასშტაბით, მართლწესრიგის დაცვის სფეროში პროფესიონალიზმისა და მომსახურების დონის ამაღლების მიზნით და გარდა ამისა, მართლწესრიგის დაცვა უნდა ხორციელდებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის იმ პიროვნებების უფლებების ჩათვლით, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან.
2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ პოლიციამ და ფართო საზოგადოებამ, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა გაიაზრონ პოლიციის როლი ეროვნებათშორისი სასურველი ურთიერთობის ხელშეწყობისა და ჩამოყალიბების საქმეში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ აგრეთვე ისიც, რომ პოლიციას სწორად მიეცეს დავალებანი და სათანადოდ იყოს აღჭურვილი მასზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად. სახელმწიფოს მეთაურებმა და პოლიციის სამსახურის ხელმძღვანელებმა საჯაროდ უნდა გამოხატონ თავიანთი მხარდაჭერა პოლიციის ამ საქმიანობის მიმართ და ხელი შეუწყონ პოლიციის როლის გაგებას და მხარდაჭერას ფართო საზოგადოების მხრიდან.
3. სახელმწიფოს მეთაურებმა და პოლიციამ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე უნდა შეიმუშაონ ამ პოლიტიკის გატარების სამოქმედო გეგმა და უზრუნველყონ მათი განხორციელების რეგულარული ხელმძღვანელობა.

II. დასაქმება და წარმომადგენლობა

4. პოლიციის შემადგენლობა ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე, როგორც მაღალი, ისე დაბალი რანგის პოლიციის თანამშრომლებისა და სამოქალაქო პერსონალის ჩათვლით, უნდა ასახავდეს მოსახლეობის მრავალფეროვნებას. პოლიციის, როგორც ეთნიკურად მრავალფეროვანი წარმომადგენლობითი ორგანოს პრესტიჟის ამაღლება, საჭიროებს აქტიურ ხელშეწყობასა და მხარდაჭერას.
5. პოლიციის წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით უნდა შემუშავდეს სტატისტიკური ნორმები, ხოლო პროგრესის შეფასების მიზნით უნდა დაწესდეს მეთვალყურეობა პოლიციის ეთნიკურ შემადგენლობაზე.
6. პოლიციის რიგებში არასრულყოფილად წარმოდგენილ ეროვნულ უმცირესობათა დასაქმების გაზრდის მიზნით, შემოღებულ უნდა იქნას ინიციატივა. ეს ინიციატივა უნდა გულისხმობდეს განსაკუთრებული ზომების მიღებას, რათა მოხდეს უმცირესობათა წარმომადგენლების წახალისება სამსახურში მიღებისას და მათ გაეწიოთ დახმარება სასურველი დონის მისაღწევად. გარდა ამისა, მიღებულ უნდა იქნას ზომები პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის ბარიერების გასაუქმებლად.
7. საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება პოლიციის რიგებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისადმი თანასწორი დამოკიდებულების უზრუნველყოფის მიზნით. მათთვის უნდა შეიქმნას ნეიტრალური სამუშაო პირობები და ისინი შემდგომი პროფესიული წინსვლისათვის უნდა სარგებლობდნენ თანაბარ შესაძლებლობათა უფლებებით.

III. მომზადება (ტრენინგი) და პროფესიული ზრდა

8. პოლიციის თანამშრომლებმა უნდა გაიარონ სათანადო მომზადება და მიიღონ პროფესიული დახმარება სხვადასხვა ფორმით, რათა შესძლონ ეროვნულ უმცირესობათა მტკივნეულ საკითხებზე ადეკვატური რეაგირება და ამ პრობლემების სწორად გაგება, და აგრეთვე მათზე დაკისრებული მართლწესრიგის დაცვის ვალდებულებების ისე ეფექტურად განხორციელება, რომ თანხმობა განმტკიცდეს და დამაბულობა შენეიდეს.
9. რეკომენდირებულია, რომ პოლიციის როგორც უფროსი, ასევე უმცროსი რანგის თანამშრომლების მომზადება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებსა და

ეროვნებათშორის ურთიერთობების საკითხებში მიმდინარეობდეს როგორც მომზადების საწყის ეტაპზე, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა იყვნენ ჩართული როგორც სწავლების დაგეგმარებაში, ისე მისი განხორციელების პროცესში.

10. პოლიციის მოქმედების კოდექსი უნდა შეიცავდეს მრავალეროვან საზოგადოებებში მართლწესრიგის დაცვის პროფესიულ ნორმებს, ხოლო პოლიციის თანამშრომელთა მოსამზადებელი პროგრამები უნდა შეიცავდეს სპეციფიურ კომპონენტებს სასურველი სტანდარტების მისაღწევად. ამ ნორმების დარღვევას უნდა მოჰყვეს დისციპლინარული სასჯელი, ხოლო სანიმუშო შესრულებას კი – პროფესიული და საჯარო აღიარება.
11. პოლიციის ხელმძღვანელებს და ზედამხედველებს გარკვევით უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა, რომ მათზე დაქვემდებარებულმა თანამშრომლებმა ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობისას დაიცვან სათანადო სტანდარტები. ხელმძღვანელობას უნდა შეეძლოს მართვის ხელში აღება და თვითონ უნდა იყოს საუკეთესო მაგალითის მიმცემი.

IV. ურთიერთობა ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებებთან

12. ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე ნდობის ფაქტორის განმტკიცების მიზნით, პოლიციას უნდა დაეკისროს ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის გარკვეული მეთოდისა და პრაქტიკის შემუშავება.
13. ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის დროს, მრავალეროვანი თანამშრომლების შეძლებისდაგვარად დასაქმებით, მათი მომზადებით და აგრეთვე, კვალიფიცირებული თარჯიმნების გამოყენებით, პოლიციას უნდა შესწევდეს შესაბამის უმცირესობათა ენების გამოყენების უნარი.
14. პოლიციამ ინიციატივა უნდა აიღოს ეროვნულ უმცირესობათა წახალისებისა და მხარდაჭერის საქმეში, რათა დაეხმაროს მათ პოლიციასთან ურთიერთობისა და თანამშრომლობაში. ასე მაგალითად, პოლიციამ, უმცირესობათა წარმომადგენლებთან ერთობლივი ინიციატივით, ხელი უნდა შეუწყოს ეროვნულ უმცირესობათა დასაქმებას და მათ მომზადებას ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებისათვის. საზოგადოებრივი უსაფრთხოების ზრდისა და სამართლიანობის მიღწევის მიზნით, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები თავის მხრივ მზად უნდა იყვნენ პოლიციასთან ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის.

15. საჭიროა შექმნას მექანიზმები, რათა დემოკრატიულად განხორციელდეს პოლიციის მიერ საჯარო ანგარიშ-ვალდებულების ჩაბარება მისი მოქმედების შედეგებზე საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა წინაშე. ეს მექანიზმები უნდა მოიცავდეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის საჩივრების გამოხატვისა და განხილვისათვის ხელმისაწვდომ ეფექტურ სისტემას. საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა უნდა იცოდეს პოლიციასთან მიმართებაში თავისი უფლება-მოვალეობის შესახებ, აგრეთვე, პოლიციის უფლება-მოვალეობისა და მომსახურების შესახებ.

V. ოპერატიული პრაქტიკა

16. მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები, რათა პოლიციამ მიუკერძოებლად და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გაატაროს კანონი, არ გამოარჩიოს ესა თუ ის ჯგუფი, ე. ი. არ განასხვავოს ის “ეთნიკური ნიშნით”. ასეთი ზომები უნდა მოიცავდეს ოპერატიული პრაქტიკის ისეთ ნორმებს, როგორცაა პოლიციის უფლებამოსილება – გააჩეროს და გაჩხრიკოს ესა თუ ის პიროვნება ქუჩაში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებზე.

17. საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამართლიანობის მიღწევის მიზნით, პოლიციამ უნდა გადადგას ნაბიჯები დანაშაულის მხილებისას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების წასახალისებლად.

18. მრავალეროვან რეგიონში, სადაც კი ეს შესაძლებელია, რეგულარული პატრულირების განხორციელებისას, პოლიციამ უნდა გამოიყენოს ეთნიკურად შერეული ძალები, საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და პოლიციის ოპერატიული ეფექტურობის გაზრდის მიზნით. პოლიციის ტაქტიკა და გარეგნული სახე (მაგალითად, პოლიციელთა რაოდენობა, იარაღის ხილვადობა, ფორმა) უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ დავალებას და არ უნდა იწვევდეს ტყუილუბრალო შიშსა და დაძაბულობას.

19. პოლიციამ უნდა უზრუნველყოს დისკრიმინაციის დაუშვებლობის კანონის მთელი ძალისხმევით და ეფექტურად გატარება. კერძოდ, მან უნდა გადადგას ნაბიჯები ეთნიკური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებების მხილების წახალისების მიზნით, აგრეთვე იზრუნოს ამ დანაშაულთა სათანადოდ დარეგისტრირებასა და გამოძიებაზე.

20. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დანაშაულის მსხვერპლთა რჩევებისა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც თანაბრად ხელმისაწვდომი და ეფექტური იქნება ეროვნულ უმცირესობებთან წარმომადგენლებისათვის.

VI. კონფლიქტის თავიდან აცილება და მართვა

21. პოლიციას სათანადოდ უნდა ჰქონდეს მიცემული დავალება და უნდა იყოს მზად, რათა გამოიჩინოს ინიციატივა ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, გამოავლინოს და შეძლებისდაგვარად შეანელოს დაძაბულობა, რომელიც შესაძლებელია გადაიზარდოს შიდაეთნიკურ კონფლიქტში.

22. სამოქალაქო წესრიგის დარღვევის და შიდაეთნიკური კონფლიქტების ინციდენტების შემთხვევაში, პოლიცია სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული და აღჭურვილი, რათა პროფესიონალურად და მიუკერძოებლად იმოქმედოს, კონფლიქტები განმუხტოს და პრობლემები გადაჭრას შეძლებისამებრ მომრიგებლური ხასიათის ზომების მიღებით, ძალის მინიმალური გამოყენებით.

23. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის განმტკიცებისა და წარმატებული მრავალეროვანი საზოგადოების შენებისას, შიდაეთნიკური კონფლიქტების აცილებასა და მართვაში პოლიციის საქმიანობის საერთო პრინციპებთან კოორდინირების მიზნით, პოლიციამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფოს მართვის სხვა ორგანოებთან, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე.

მრავალეროვან საზოგადოებებში მართლწესრიგის დაცვის რეკომენდაციათა ახსნა-განმარტებანი

I. ძირითადი პრინციპები

1. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც აშკარად აღიარებს მართლწესრიგის დაცვის მნიშვნელობას ეროვნებათაშორისი ურთიერთობებისათვის. ეს პოლიტიკა უნდა გახდეს უფრო ფართო მასშტაბის პოლიტიკისა და პროგრამების შემადგენელი ნაწილი, რაც ხელს შეუწყობს უმცირესობათა ინტეგრაციას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. პოლიტიკის კოორდინაციაც უნდა ხდებოდეს უფრო ფართო მასშტაბით, მართლწესრიგის დაცვის სფეროში პროფესიონალიზმისა და მომსახურების დონის ამაღლების მიზნით. გარდა ამისა, მართლწესრიგის დაცვა უნდა ხორციელდებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის იმ პიროვნებების უფლებების ჩათვლით, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან.

მრავალეროვან საზოგადოებებში სასურველი ეროვნებათაშორისი ურთიერთობები და იმ ადამიანთა ინტეგრაცია, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს ეკუთვნიან, დამოკიდებულია ყველა ეთნიკური ჯგუფის მიერ სახელმწიფოს საქმიანობის ლეგიტიმურად და ეფექტურად მიჩნევაზე.¹ კერძოდ პოლიციის, როგორც მოწინავე და ყველაზე თვალსაჩინო სამართალდამცავი ორგანოს როლი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პოლიცია ეთნიკური უმცირესობებისათვის არის მართლმსაჯულების გარანტი. უმცირესობებს, რომლებსაც მიაჩნიათ რომ პოლიციის მოქმედება მიუკერძოებელია, მიმართულია კანონიერების დამკვიდრებისა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, ბუნებრივად გააჩნიათ მეტი პატივისცემა ზოგადად სახელმწიფოსადმი; პოლიციისა და სხვა პასუხისმგებელი ორგანოების უუნარობამ უმცირესობათა მიერ მათი საქმიანობის კანონიერად აღიარებისა, შეიძლება

¹ რეკომენდაციები ფორმულირებულია “მრავალეროვან საზოგადოებებში” “ეროვნულ უმცირესობათა” შორის მართლწესრიგის დაცვის თვალსაზრისით. ექსპერტების აზრით, ტერმინი “ეროვნული უმცირესობანი” მოიცავს უმცირესობათა ჯგუფების ფართო სპექტრს - რელიგიურ, ენობრივ, კულტურულ და ასევე ეთნიკურ უმცირესობებს. ეს რეკომენდაციები პრინციპში ეხება ყველა ამ ჯგუფს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეკომენდაციებში სიტყვა “უმცირესობანი” გამოიყენება როგორც ერთგვარი ხელსაყრელი შემოკლება ფრაზისა - “პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას”

გამოიწვიოს აღშფოთება და შიში და აგრეთვე შექმნას საფუძველი ექსტრემიზმის აყვავებისათვის.

ეროვნულ, რეგიონალურ თუ ადგილობრივ დონეზე პოლიციის ლეგიტიმურობის და ეფექტურობის აღიარება დამოკიდებულია პოლიციასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების დამკვიდრებაზე, ურთიერთობაზე, რომელიც ემყარება სასურველ კომუნიკაციასა და პრაქტიკულ თანამშრომლობას. ასეთი ურთიერთობის დამყარება არა მარტო აუძიებს შიდაეთნიკურ ურთიერთობებს, არამედ ხელს უწყობს მართლწესრიგის დაცვის ქმედითუნარიანობის ზრდას. მოცემული რეკომენდაციები, რომლებიც არსებულ გამოცდილებას ეფუძნება, გამიზნულია იმისთვის, რომ დაეხმაროს სახელმწიფოებს პოლიციასა და უმცირესობებს შორის ასეთი ურთიერთობების დამყარებაში.

მთავრობებმა თავის თავზე უნდა აიღონ ლიდერობა და შეიმუშაონ მკაფიო “შეხედულება” პოლიციის როლზე ეფექტური, დემოკრატიული, მრავალეროვანი საზოგადოების შენებასა და შენარჩუნებაში. ფართო კონსულტაციების საშუალებით მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური კურსის მრავალპარტიული და მრავალეროვანი კონსენსუსი მართლწესრიგის დაცვასა და უმცირესობათა საკითხებზე, საწინააღმდეგო შემთხვევაში ამ მიმართულებით საქმიანობა შეიძლება გახდეს საზოგადოების დაყოფის და პოლიტიკური კონკურენციების მიზეზი. პოლიტიკური კურსი და პრაქტიკაში განსახორციელებელი საჭირო ზომები უნდა იყოს გამოთქმული მკაფიო, ფორმალურ “საპროგრამო განცხადებებში”, რომლებსაც საჯაროდ მხარი უნდა დაუჭირონ პოლიტიკურმა ლიდერებმა და მათი მოქმედებაში მოყვანა უნდა მოხდეს კანონმდებლობისა და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

მართლწესრიგის დაცვის კურსი უნდა იყოს ნაწილი უფრო ფართო ეროვნული სტრატეგიისა, რომელიც ხელს შეუწობს ინტეგრაციასა და მრავალეროვანი საზოგადოების აშენებას. ამ კურსში უნდა იყოს მოცემული იმ პირთა წასახალისებლად საჭირო ზომები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთნებიან, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. აგრეთვე ზომები განათლების, ენების, პოლიტიკური წარმომადგენლობის, ტელერადიომაუწყებლობის, სიღარიბესა და გაუცხოებასთან ბრძოლის სფეროებში. პროგრესი ინტეგრაციის უფრო ფართო ასპექტების ასპარეზზე გაადვილებს იმ ზომების გატარებას, რომელიც აუცილებელია მართლწესრიგის დასაცავად მრავალეროვან საზოგადოებაში.

უმცირესობათა მართლწესრიგის დაცვის პოლიტიკა (თუნდაც მკაფიოდ გამოხატული და მიზანდასახული) უნდა იყოს პოლიციის განვითარების პროგრამების შემადგენელი ნაწილი. ნდობაზე დაფუძნებული სწორი კომუნიკაცია და თანამშრომლობა მართლწესრიგის დაცვის ეფექტურად განხორციელებისათვის გადამწყვეტი

ელემენტებია არა მარტო უმრავლესობათა, არამედ უმცირესობათა საზოგადოებებშიც. რეპრესიული ან “კონტროლზე ორიენტირებული” დამოკიდებულებით, რომლითაც ზოგადად, ადამიანის და უმცირესობათა უფლებებიც სრულებით უგულვებელყოფილი ან დარღვეულია, შეუძლებელია პოლიციასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის სასურველი ურთიერთობის დამყარება.

ამდენად, პოლიციის დემოკრატიზაცია და პროფესიონალიზაცია წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას იმისათვის, რომ პოლიციამ შეასრულოს თავისი როლი წარმატებული მრავალეროვანი საზოგადოების აშენებაში. საჭიროა აგრეთვე, მოსახლეობის მომსახურებაზე ორიენტირებული და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართლწესრიგის დაცვის შემოტანა, რასაც თან უნდა ერთვოდეს “საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვა” ადგილობრივ დონეზე.²

2. *სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ პოლიციამ და ფართო საზოგადოებამ, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა, გაიაზრონ პოლიციის როლი ეროვნებათა შორის სასურველი ურთიერთობის ხელშეწყობისა და ჩამოყალიბების საქმეში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ აგრეთვე ისიც, რომ პოლიციას სწორად მიეცეს დავალებანი და სათანადოდ იყოს აღჭურვილი მასზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად. სახელმწიფოს მეთაურებმა და პოლიციის სამსახურის ხელმძღვანელებმა საჯაროდ უნდა გამოხატონ თავიანთი მხარდაჭერა პოლიციის ამ საქმიანობის მიმართ და ხელი შეუწყონ პოლიციის როლის გაკებას და მხარდაჭერას ფართო საზოგადოების მხრიდან.*

² უფრო დეტალური ინფორმაცია შესაბამისი საერთაშორისო ნორმების და სტანდარტებისა პოლიციის საქმიანობის და ადამიანის უფლებების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ გაერთიანებული ერების მართლწესრიგის დამყარების მიზნით თანამდებობის პირთა მოქცევის კოდექსში (1979), შემდეგ მისამართზე: <http://www.uncjin.org/Standards/Conduct/conduct.html/>

და ევროპის საბჭოს ევროპული პოლიციის ეთიკის კოდექსში (2001), შემდეგ მისამართზე: http://www.coe.int/T/E/Legal_Affairs/Legal_co-operation/Police_and_internal_security/Documents/_Intro_Documents.asp#P234_5187.

ეს დოკუმენტები მკაფიოდ განსაზღვრავენ საერთაშორისო სტანდარტებს მართლწესრიგის დაცვის საქმეში და შეესაბამებიან საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს. მოცემული სტანდარტები უნდა იყოს საფუძველი მართლწესრიგის დაცვის ყველა მიღებული კურსისა და პრაქტიკისა, რომელიც ეხება ეროვნულ უმცირესობებს და შიდაეთნიკურ ურთიერთობებს. პოლიციის ხელმძღვანელები ყოველთვის უნდა იდგნენ ამ სტანდარტების შესრულების სადარაჯოზე. როტერდამის ქარტია პოლიციის საქმიანობაზე მრავალეროვან საზოგადოებაში (1996), -- იხილეთ მისამართზე <http://www.rotterdamcharter.nl/>, -- პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებულ ზოგად რჩევებს იძლევა; იგი ლეგალურად არა სავალდებულო დოკუმენტია, და შედგენილია მთელს ევროპაში პოლიციის, მუნიციპალიტეტების და ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ერთობლივი ძალისხმევით. მართლწესრიგის დაცვის კურსი ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში უნდა ითვალისწინებდეს ასევე ადამიანის სხვა—უფრო ფართო უფლებებს, რომლებიც მოცემულია ევროპის კონვენციაში ადამიანის უფლებების დაცვაზე და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპის საბჭოს რეკომენდირებულ (რამეწორკ) კონვენციაში (1994): იხილეთ შემდეგ მისამართზე http://www.coe.int/T/E/human_rights/minorities/.

ისეთი პოლიტიკის დანერგვა, რომელიც მიმართულია პოლიციის პოტენციალის გაძლიერებისაკენ სასურველი შიდაეთნიკური ურთიერთობების დასამყარებლად, არ წარმოადგენს მარტივ ტექნიკურ ამოცანას. ის აგრეთვე გულისხმობს საპოლიციო კულტურის შეცვლას. ეს კი მოითხოვს კურსის შემმუშავებლების და ყველა დონის პოლიციის წარმომადგენლის მხრიდან გაგებას და თავდადებას. პოლიციის ორგანიზაციებში უკვე დანერგილი კულტურა შეიძლება არ იწონებდეს ამ საკითხების დასმას: სინამდვილეში ის შეიძლება მტრულადაც იყოს გამსჭვალული და ზოგადად შეეწინააღმდეგოს ცვლილებებს. უფრო მეტიც, პოლიცია (გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად) ხშირად მიიჩნევს თავს დომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლად, მისი ინტერესების დამცველად და ამიტომ ასეთი პოლიტიკა შეიძლება მიიჩნიოს არასასურველ საშიშროებად. მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ექსპლოატაცია (მაგალითად, ქრთამის მოთხოვნა დაუცველი ეთნიკური ჯგუფებისაგან) წარმოადგენს პოლიციის კორუფციის ერთ-ერთ ფორმას, რაც არა მარტო ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონებს და ადამიანის უფლებებს, არამედ ასევე სერიოზულად ამცირებს პოლიციის შესაძლებლობებს, განამტკიცოს სასურველი ეროვნებათშორისი ურთიერთობები.

ამისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა ლიდერებმა მიაღწიონ იმას, რომ ძალადი თანამდებობის პოლიციის თანამშრომლებმა სრულად გაიაზრონ თავისი როლის მნიშვნელობა სასურველი შიდაეთნიკური ურთიერთობების დამყარებაში, ბოლომდე მოახმარონ თავისი ძალები შესაბამისი სტრატეგიის განხორციელებას. პოლიციის ეს სტრატეგია გულისხმობს ჰარმონიული ეთნიკური ურთიერთობების დამყარებას არა მარტო საზოგადოებაში, არამედ თვით საპოლიციო ორგანიზაციების შიგნით. აქ გამორიცხული უნდა იყოს დისკრიმინაცია ეთნიკურ ან მის მსგავს საფუძვლებზე (და თუ ადგილი ექნება ასეთ შემთხვევებს, მოხდეს მათი სათანადოდ გადაწყვეტა). თავის მხრივ, პოლიციის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ნებისმიერ რეგიონში, ნებისმიერი სპეციალობის და იერარქიულად ნებისმიერი წოდების მქონე ყველა პოლიციელს შეგნებული ჰქონდეს პოლიციის როლის მნიშვნელობა და მისი გავლენა მათ ყოველდღიურ საქმიანობაზე. ნებისმიერ დონეზე პოლიციის ლიდერებმა უნდა გააკეთონ მკაფიო განცხადებები პოლიციის როლის მხარდასაჭერად და ამაზე ყურადღება პოლიციის წვრთნის დროსაც უნდა იყოს გამახვილებული. არ უნდა იყოს დაშვებული ისეთი მოქმედებანი რომლებიც ძირს უთხრიან ამ როლს, პრივილეგიას ანიჭებენ რომელიმე გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს, ექსპლოატაციას ან დისკრიმინაციას უწევენ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს, ან გამოხატავენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას უმცირესობისადმი. ორთავემ, როგორც პოლიტიკის კურსის შემქმნელებმა, ასევე პოლიციის ხელმძღვანელობამ უნდა იმუშაოს იმ მიმართულებით, რომ პოლიციაში დამკვიდრდეს კულტურა, რომელიც მიესაღმება და პატივისცემით ეპყრობა ეთნიკურ მრავალფეროვნებას როგორც პოლიციის შიგნით, ასევე მის გარეთაც, სადაც პოლიცია თავს დადებით და სამაგალითოდ წარმატებულ ელემენტად მიიჩნევს მრავალფეროვანი საზოგადოების შექმნაში (იხილეთ აგრეთვე რეკომენდაცია მე-7).

3. სახელმწიფოს მეთაურებმა და პოლიციამ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე უნდა შეიმუშაონ ამ პოლიტიკის გატარების სამოქმედო გეგმა და უზრუნველყონ მათი განხორციელების რეგულარული ზედამხედველობა.

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტურია შეიმუშავებული პოლიტიკა და გატარებული ზომები; იძლევიან თუ არა ისინი სასურველ შედეგებს. უმცირესობათა წარმომადგენლები ალბათ განსაკუთრებით მოისურვებენ იმის გაგებას, თუ ამ მიმართებით რა წინსვლა არსებობს. ზუსტი ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება ძალზედ მნიშვნელოვანია. სამოქმედო გეგმების შეიმუშავება და მონიტორინგი ხელს შეუწყობს ამ პრობლემების დაძლევას. საჭიროა, რომ არსებული პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმა:

- შეიცავდეს მოცემულ რეკომენდაციებში ჩამოთვლილი პოლიციის საქმიანობის ყველა სფეროსადმი ინტეგრირებულ დამოკიდებულებას;
- ეყრდნობოდეს პოლიციისა და უმცირესობის ურთიერთობის სპეციფიური პრობლემების და საჭიროებების ანალიზს: რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს დამოუკიდებელი გამოკვლევები;
- ასახელებდეს პასუხისმგებელ პირებს (როგორც მთავრობში, ასევე პოლიციაში) და შესაბამისად ავალბდეს მათ, რათა მართლწესრიგის დაცვის და უმცირესობათა პოლიტიკა განხორციელდეს;
- საჭიროებისამებრ ახდენდეს სპეციფიური თანამდებობების დაარსებას ან განყოფილებების შექმნას, რომლებიც შეასრულებენ ან კოორდინაციას გაუწევენ ჩასატარებელ სამუშაოებს;
- ითვალისწინებდეს საკმარისი ფულადი თანხისა და სხვა რესურსების გამოყოფას;
- პროცესის ყველა ეტაპზე ქმნიდეს პირობებს პოლიციასთან (მაგალითად, პროფესიული ასოციაციების საშუალებით) და ეთნიკურ უმცირესობებთან თანამშრომლობისათვის (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით), უწყვეტი კონსულტაციების ჩატარებისათვის;
- შეიცავდეს ადგილობრივ დონეზე ექსპერიმენტალურ პროექტებს, რომლებიც იქნება პირველი სასარგებლო გადადგმული ნაბიჯი ამ პოლიტიკის განსახორციელებლად.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართლწესრიგის დაცვისა და უმცირესობების პოლიტიკის განხორციელებაზე რეგულარულ მეთვალყურეობას (მონიტორინგს). მთავრობა და პოლიციის ოფიციალური პირები თავისი ადმინისტრაციული მიზნებისათვის ამას უნდა აწარმოებდნენ რეგულარულად. უნდა ქმნიდნენ ანგარიშ-მოსხენებებს, რომლებიც მისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისათვის. თუმცა, საზოგადოების ნდობის ზრდისა და ანგარიშ-ვალდებულების დემოკრატიულობის

მიზნით ასეთ მეთვალყურეობას უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებელი ორგანოც. ეს როლი შესაძლებელია შეასრულონ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო ინსტიტუტებმა (მაგალითად, საპარლამენტო კომისიებმა ან ომბუცმენტების წარმომადგენლებმა), ან საზოგადოების სხვა სამეთვალყურეო ორგანოებმა. ასეთ ორგანოებს უნდა მიეცეთ უფლება, აწარმოონ ოფიციალური პირების გამოკითხვა და ჩაატარონ საქმეების ღია მოსმენა/განხილვა. მათი ანგარიშ-მოხსენებებიც უნდა იყოს საზოგადოებისათვის მისაწვდომი. რომელი მეთოდითაც არ უნდა ხორციელდებოდეს მართლწესრიგის დაცვის პოლიტიკის გატარების მეთვალყურეობა, აუცილებელია ჩატარდეს ორივე მხარესთან – ეთნიკურ უმცირესობებთან და პოლიციასთან ეფექტური კონსულტაციები, მათი აზრი და გამოცდილება დაფიქსირებული და გათვალისწინებული უნდა იქნას ანგარიშ-მოხსენებებისა და რეკომენდაციების მომზადებისას. პოლიცია უნდა მიესალმებოდეს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს დამოუკიდებელ დაკვირვებას, აფასებდეს მის დადებით როლს პროგრესული და ახალი იდეებისათვის მზად მყოფი ორგანიზაციისათვის. არ უნდა ხდებოდეს არსებული შეცდომებისა და ჩავარდნების დამალვა. პირიქით, უნდა მოხდეს მათი გაანალიზება და მომავალში გათვალისწინება. ასეთი პოლიტიკის განვითარება და განხორციელება არ წარმოადგენს მოკლევადიან ამოცანას და მისი შესრულება უნდა მოხდეს ნაბიჯ-ნაბიჯ გარკვეული დროის განმავლობაში.³

II. დასაქმება და წარმომადგენლობა

4. *პოლიციის შემადგენლობა ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე, როგორც მაღალი, ისე დაბალი რანგის პოლიციის თანამშრომლებისა და სამოქალაქო პერსონალის ჩათვლით, უნდა ასახავდეს მოსახლეობის მრავალფეროვნებას. პოლიციის, როგორც ეთნიკურად მრავალფეროვანი წარმომადგენლობითი ორგანოს პრესტიჟის ამაღლება საჭიროებს აქტიურ ხელშეწყობასა და მხარდაჭერას.*

უმცირესობათა თანაბარი წარმომადგენლობა პოლიციის რიგებში მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

- ა) მაჩვენებელია იმისა, რომ ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს აქვს თანაბარი უფლება იმსახუროს პოლიციაში და წინ წაიწიოს თანამდებობრივად;

³ დამატებითი ინფორმაციისა და რჩევებისათვის პოლიციის რეფორმის პროგრამების განხორციელებისათვის იხილეთ ევროპის საბჭოს “პოლიციის და ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა”, კონკრეტულად შემდეგი პუბლიკაცია: “მართლწესრიგის დაცვა დემოკრატიულ საზოგადოებაში - არის თუ არა თქვენი საპოლიციო სამსახური ადამიანის უფლებების დამცველი?” იხილეთ შემდეგ გვერდზე http://www.coe.int/t/e/human_rights/police/2_publications/

- ბ) უმცირესობის ინტეგრაციის მიღწევის ერთგვარი საშუალებაა, სახელმწიფოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის ინსტიტუტებში ეროვნულ უმცირესობათა ჩართვით;⁴
- გ) ერთგვარი საშუალებაა საპოლიციო ორგანიზაციაში ეთნიკურად მრავალეროვან საზოგადოებაში მუშაობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების (ენების ცოდნის ჩათვლით) შემოტანისა;
- დ) ერთგვარი საშუალებაა დაენმაროს პოლიციას დაამყაროს ისეთი ურთიერთობა უმცირესობათა საზოგადოებებთან, რომელიც დაეფუძნება ეფექტურ კომუნიკაციას, თანამშრომლობას და ორმხრივ ნდობას.

ყველა ამ მიზეზის გამო, პოლიციის წარმომადგენლობითობის გაზრდა უნდა წარმოადგენდეს ძირითად პრიორიტეტს. ეს დამოწმებულია დოკუმენტში “ევროპის საბჭოს მრჩეველი კომიტეტის შეხედულებები ეროვნულ უმცირესობათა შემხები ჩარჩო-კონვენციისათვის”.⁵

პოლიციამ აქტიურად უნდა გაუწიოს პოპულარიზაცია არა მარტო თავის, როგორც ეთნიკურად წარმომადგენლობითი ორგანოს იმიჯს, არამედ საზოგადოებაში ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებისაც (მაგალითად, იმ მეთოდების საშუალებით, რომლებიც მოცემულია მე-12 რეკომენდაციაში). ეს მოქმედებები უნდა იყოს გამიზნული როგორც რაოდენობრივად მცირე და გამიჯნული უმცირესობებისათვის, აგრეთვე რაოდენობრივად უფრო დიდი და ინტეგრირებული ჯგუფებისათვის. ყველა საპოლიციო ქმედებისას ასევე აუცილებელია უმცირესობებისადმი სამართლიანი დამოკიდებულება და მათდამი პატივისცემით მოპყრობა, რათა უმცირესობათა წარმომადგენლებს გაუჩნდეთ პოლიციის სამსახურში ჩადგომის სურვილი.

მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის მრავალეროვანი ხასიათი არსებობდეს და შესამჩნევი იყოს ყველა რეგიონში. ეს ეხება როგორც მონოეთნიკურ, ასევე მრავალეროვან დასახლებულ პუნქტებს და განსაკუთრებით იმ რეგიონებს, სადაც უმცირესობანი წარმოადგენენ ძირითად მაცხოვრებელ ჯგუფს. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ საპოლიციო ორგანიზაციებში არსებულ იერარქიაში უმცირესობებს დაკავებული პქონდეთ არა მარტო დაბალი, არამედ მაღალი თანამდებობები. რაც მიანიშნებს, რომ ყველა ჯგუფის წარმომადგენლისათვის არსებობს მაღალი თანამდებობის მიღწევის თანაბარი უფლება და უმცირესობასაც ხელმძღვანელობის დონეზე შეუძლია უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკის კურსის შემუშავებაში. თავის მხრივ, ეს

⁴ იხილეთ ეუთოს ეროვნული საკითხების უმაღლესი კომისრის “ლუნდის რეკომენდაციები ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობის შესახებ და მისი ახსნა განმარტება” (1999), შეგიძლიათ იხილოთ სხვადასხვა ენაზე შემდეგ გვერდზე <http://www.osce.org/hcnm/documents.html>

⁵ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ გვერდზე http://www.coe.int/T/E/human_rights/minorities/

ადასტურებს, რომ პოლიცია ნამდვილად წარმოადგენს მრავალეროვან ორგანიზაციას. იმ შემთხვევაში, როცა პოლიცია ვერ შესძლებს პირდაპირ აიყვანოს უმცირესობის წარმომადგენლები მაღალ თანამდებობებზე მოკლე დროში, მაშინ საკმარისი გამოცდილების მქონე უმცირესობათა წარმომადგენელი პირების აყვანა სპეციალისტ მრჩეველებად არის ალტერნატიული მეთოდი, რითაც უმცირესობათა შეხედულებები გათვალისწინებულ იქნას მართლწესრიგის დაცვის მართვაში.

5. *პოლიციის წარმომადგენლობითობის გაზრდის მიზნით უნდა შემუშავდეს სტატისტიკური ნორმები, ხოლო პროგრესის შეფასების მიზნით უნდა დაწესდეს მეთვალყურეობა პოლიციის ეთნიკურ შემადგენლობაზე.*

უნდა შემუშავდეს სტრატეგიული დამოკიდებულება, რათა პოლიციის კადრების ეთნიკური შემადგენლობა შეესაბამებოდეს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას. სასურველი ეთნიკური შემადგენლობის მიღწევა პოლიციაში უნდა წარმოადგენდეს შესასრულებელ მიზანს. ასევე საჭიროა რეალური შუალედური მიზნების დადგენა, რომელთა შესრულებაც რეალურად მოხდება გარკვეული დროის ფარგლებში.

აუცილებელია გარკვევით დადგინდეს განსხვავება “მიზნებსა” (ან “საპროგნოზო მაჩვენებლებსა”) და “კვოტებს” შორის. მიზნების ფუნქციას წარმოადგენს გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლობითობის გაზრდა, რისი მიღწევაც შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებებით. ისეთი მაგალითები მეთოდებისა, რომლებიც თანაბარ უფლებებს ანიჭებენ ცალკეულ პიროვნებებს სამსახურში შერჩევის დროს, მოიპოვება მე-6 რეკომენდაციაში. “მიზნების” გამოყენება რათა პოლიციის კადრების ეთნიკური შემადგენლობა მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას შეესაბამებოდეს კარგ პრაქტიკად ითვლება. “კვოტები” წარმოადგენს გარკვეული რაოდენობის ადგილების განაწილებას გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლებისათვის შერჩევის პროცესში სამუშაო ადგილების შესავსებად. “კვოტების” გამოყენება საპროგნოზო მაჩვენებლების მისაღწევად, ეროვნულ უმცირესობათა თანამდებობებზე მიღებისას, ხშირად გამოიწვევს უსამართლობაზე საჩივრებს და შეიძლება სტანდარტების დაქვეითების რისკიც გამოიწვიოს, და მისი გამოყენება შეიძლება ამებრ ყოველნაირად თავიდან ასაცილებელია.

თუმცა კვოტების გამოყენება შეიძლება იყოს მისაღები და გამართლებული განსაკუთრებულ შემთხვევებში. მაგალითად, თუ მრავალეროვან სახელმწიფოში პოლიციის რეფორმის პროგრამის შედეგად ხდება მთლიანად ან ნაწილობრივ ახალი კადრების შერჩევა, ლეგიტიმურობისა და ეფექტურობისათვის საწყის ეტაპზე სასურველი შეიძლება იყოს, რომ პოლიციის ეთნიკური შემადგენლობა შეესაბამებოდეს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას. მსგავს შემთხვევაში შეიძლება გამართლებული იყოს “კვოტების” შემუშავება და შესრულება, განსაკუთრებით

კადრების შერჩევისა და მომზადების საწყის ეტაპზე, იმ პირობით, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებამდე ყველა ჯგუფის წარმომადგენელი დააკმაყოფილებს მინიმალური პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებს. უფრო მეტიც, ეთნიკური კვოტების გამოყენება უნდა განიხილებოდეს როგორც გამონაკლისი და ჩაითვალოს მხოლოდ გარდამავალი ეტაპისთვის მისაღებ საშუალებად. ამ ეტაპის შემდეგ სასურველი მაჩვენებლების მიღება უნდა მოხდეს სხვა საშუალებებით.

მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს რეგულარულად, რათა შემოწმდეს დასახული გეგმების შესრულება. მთავრობებმა უნდა განსაზღვრონ, რომელი ორგანო იქნება პასუხისმგებელი თითოეულ დავალებაზე და გაანაწილონ პასუხისმგებლობანი შესაბამისად. ასეთი “ეთნიკური მეთვალყურეობა (მონიტორინგი)” უნდა უკავშირდებოდეს სამუშაო კადრების ზოგად მეთვალყურეობას ან ხორციელდებოდეს მის ფარგლებში, საერთაშორისო კანონის და ადამიანთა დასაქმების სახელმწიფოს ზოგადი პოლიტიკის შესაბამისად.

ეთნიკური მონაცემების შეგროვება ძალზედ ფაქიზი და საკამათო საკითხია და ზოგიერთ ქვეყანაში მონაცემთა მფარველი/დამცავი კანონები აფერხებს ამ მონაცემების მოპოვებას. თუმცა სახელმწიფოებმა არ უნდა აარილონ თავი ამ საკითხს და ეთნიკური მონაცემები უნდა შეგროვდეს და გაანალიზდეს პირადი მონაცემების დაცვის და თვითგამოკვლევის (ყველა ადამიანს აქვს უფლება თავი განაცხადოს ან არ განაცხადოს უმცირესობის წევრად) უფლების ევროპული სტანდარტების შესაბამისად. შეგროვებული მონაცემები პიროვნებათა ეთნიკურობის შესახებ უნდა გახდეს ანონიმური და გადაიქცეს სტატისტიკურ მონაცემებად. გამოირიცხული უნდა იყოს ყველანაირი საშუალება კერძო პიროვნებათა მონაცემთა ბაზების აღდგენისა. თუ ეს დამცავი მექანიზმები გამოყენებულ იქნება, მაშინ ადამიანის უფლებებიც არ დაირღვევა. უნდა ითქვას, რომ ასეთი მონაცემების გარეშე, სახელმწიფოებისათვის შეუძლებელი იქნება პოლიციის წარმომადგენლობითობის საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის განსაზღვრა.

6. პოლიციის რიგებში არასრულყოფილად წარმოდგენილ ეროვნულ უმცირესობათა დასაქმების გაზრდის მიზნით, შემოღებულ უნდა იქნას ინიციატივა. ეს ინიციატივა უნდა გულისხმობდეს განსაკუთრებული ზომების მიღებას, რათა მოხდეს უმცირესობათა წარმომადგენლების წახალისება სამსახურში მიღებისას და მათ გაეწიოთ დახმარება სასურველი ღონის მისაღწევად. გარდა ამისა, მიღებულ უნდა იქნას ზომები პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის ბარიერების გასაუქმებლად.

პოლიციის რიგებში ეთნიკურ უმცირესობათა არასაკმარისი წარმომადგენლობა გარკვეული მიზეზების გამო ხდება. ეს მიზეზები ასეთებია; არსებული

შესაძლებლობების უცოდინარობა, სათანადო განათლების ღონის არ ქონა, წარსულში გადატანილი ეთნიკური უმცირესობებისათვის შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება პოლიციის მხრიდან და სამსახურში მიღების პროცესში პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია. პოლიციის რიგებში უმცირესობათა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით თავდაპირველად უნდა გაანალიზდეს მიზეზები, რატომ არიან ისინი ამა თუ იმ სახელმწიფოში ნაკლებად წარმოდგენილი პოლიციის რიგებში და მხოლოდ ამის შემდგომ უნდა მოხდეს განსაკუთრებული ზომების მიღება.

ის განსაკუთრებული ზომები, რომლებიც ალბათ შესაფერისია, აი ქსენია:

- ა) ინიციატივები პოლიციის რიგებში შესვლასთან დაკავშირებით ეროვნული უმცირესობებისათვის არსებულ შესაძლებლობებზე ინფორმაციის მიწოდების გაზრდისათვის, პოლიციისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შექმნისათვის და პოლიციის რიგებში შესვლით დაინტერესებული პირების წახალისებისათვის. ასეთი ინიციატივები შეიძლება განხორციელდეს ლიფტების გავრცელებით, რადიო-ტელევიზიის (რეკლამების) გამოყენებით, პოლიციის მიერ სკოლებისა და სათვისტომოების (კულტურული და რელიგიური) ცენტრების მონახულებით, ახალგაზრდებისათვის პოლიციის პუნქტების და საწვრთნელი სკოლების მონახულების შესაძლებლობათა არსებობით, და ერთობლივი ინიციატივებით სათვისტომოს ლიდერებთან და ეთნიკურ ასოციაციებთან/არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აგრეთვე, შესაძლებელია ჩატარდეს მიზნობრივი კომპანიები (მრავალ თუ ყველა ამ მეთოდზე დაყრდნობით) პოლიციის რიგებში მიღებაზე იმ ეთნიკურ ჯგუფებთან, რომლებიც საკმარისი რაოდენობით არ არიან წარმოდგენილი.
- ბ) ზომები პოლიციის რიგებში შესვლით დაინტერესებული სათანადო კვალიფიკაციის არმქონე, პოტენციური კანდიდატების მომზადებისათვის. პოლიციის რიგებში ამ კანდიდატების მიღება შესაძლებელი გახდება მათი ენთუზიაზმის გათვალისწინებით და დამატებითი მომზადების შემდეგ. ყოველივე ეს შეიძლება განხორციელდეს ინტენსიური მოკლევადიანი კურსების გავლით; ეს კურსები კონკრეტულად მიმართული უნდა იყოს პირობითად შერჩეული კანდიდატების სასურველი ღონის მიღწევისაკენ.
- გ) მექანიზმი, რომლებიც დაადგენს და გადაჭრის დისკრიმინაციის ნებისმიერი გამომწვევი მიზეზს ეთნიკურ უმცირესობათა კანდიდატების სამსახურში მიღების ან შერჩევის პროცესის დროს. ასეთი ინიციატივა შეიძლება განხორციელდეს სელექციის პროცესში სწორი არჩევანის გაკეთებაში იმ პირთა მომზადებით, რომლებსაც ეკისრებათ ეს ამოცანა; შერჩევის პროცედურების გადასინჯვით (მაგალითად, პირადი გასაუბრებისა კანდიდატთან), რათა გამოაშკარავდეს შესაძლებელი სტერეოტიპები და

ხელშეწყობის ბარიერები ეროვნულ უმცირესობათა კანდიდატების შერჩევის პროცესში; ასევე არჩევანის კრიტერიუმების გადასინჯვით, რათა ეს კრიტერიუმები მთლიანად გამართლებული იყოს და მათ არ შექმნან არასასურველი ბარიერები, რომლებიც უმცირესობის წარმომადგენლებს არახელსაყრელ სიტუაციაში ჩააყენებს.

ასეთი ინიციატივების შემოღებისას, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ კადრების შერჩევისას პოლიციის რიგებში მიღების სტანდარტები არ დაეცეს უმცირესობის წარმომადგენელთათვის. პიროვნებები, რომლებიც ეთნიკურ უმრავლესობას მიეკუთვნებიან (და საინფორმაციო საშუალებები) ხშირად ძალზე სწრაფად აკეთებენ დასკვნებს და აცხადებენ, რომ თითქოს სტანდარტები პოლიციის რიგებში მიღებისა ეცემა, და რომ ამის შედეგად თავად უმრავლესობის წარმომადგენლები განიცდიან დისკრიმინაციას, რადგან უმცირესობათა წარმომადგენლები განსაკუთრებულ ხელშეწყობას იღებენ. პოლიციის ხელმძღვანელობა ვალდებულია დაასაბუთოს, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. სინამდვილეში, ვისაც ყველაზე მეტად უნდა აღეგებებინა სტანდარტების დაცემის პრობლემა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პოლიციის თანამშრომლები არიან, რადგან ამის შედეგად ისინი შეიძლება პოლიციის “მეორე ხარისხოვან” თანამშრომლებად მიიჩნიონ.

7. საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება პოლიციის რიგებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისადმი თანასწორი დამოკიდებულების უზრუნველყოფის მიზნით. მათთვის უნდა შეიქმნას ნეიტრალური სამუშაო პირობები და ისინი შეძლონ პროფესიული წინსვლისათვის უნდა სარგებლობდნენ თანაბარ შესაძლებლობათა უფლებებით.

პოლიციაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდისას, საკმარისი არ არის მხოლოდ კადრების შევსებაზე ყურადღების გამახვილება. გამოცდილება აჩვენებს, რომ თუ უმცირესობები არ გრძნობენ მათდამი თანასწორობითა და პატივისცემით მოპყრობას ორგანიზაციაში, დაწინაურებისას თანაბარ შანსებს, სავსებით მოსალოდნელია, რომ მათ დატოვონ პოლიციაში სამსახური. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით მოსალოდნელია პოლიციის რიგებში მათი ყოფნის საწყის ეტაპზე, როცა უმცირესობათა რაოდენობა პოლიციაში ჯერ ისევ მცირეა და უმცირესობის წარმომადგენლები საზოგადოებიდან თავს იზოლირებულად გრძნობენ. შესაძლებელია ასევე განიცადონ ზეწოლა ეთნიკურ უმცირესობათა პოლიციელმა ქალებმა, რადგანაც თავიანთი სქესისა და ეთნიკურობის გამო, ისინი წარმოადგენენ “ორმაგ უმცირესობას”.

ყველა ამ მიზეზის გამო ძალზედ მნიშვნელოვანია შეიქმნას ნეიტრალური სამუშაო პირობები, ე. ი. პირობები სადაც ეთნიკური უმცირესობის პოლიციის თანამშრომლებს თანასწორუფლებიან პიროვნებებთან და სადაც თავიანთი ეთნიკურობის გამო,

ისინი არ იქცევიან ნეგატიური სტერეოტიპების მსხვერპლად. ამავე დროს სამუშაო გარემო ფრთხილად უნდა ეპყრობოდეს სხვადასხვა ჯგუფების მრავალგვარ მოთხოვნილებებს, ადათ-ჩვევებს და რელიგიას (მაგალითად, მათ ჩაცმულობას, დიეტურ მოთხოვნილებებს, რელიგიურ რიტუალებს - ლოცვას და წმინდა დღეებს). დადებითი ზომები უნდა იყოს გათვალისწინებული, რათა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ პოლიციელებს გაეწიოთ მხარდაჭერა და წახალისება თანამდებობრივად დაწინაურებაში; ეს შეიძლება განხორციელდეს კარიერის განვითარების სპეციალური პროგრამების სწავლებით ან “მენტორული” სქემების შემოღებით მათთვის, ვისაც გააჩნია წინსვლის პოტენციალი. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციაში არსებობდეს საჩივრების შეტანის ეფექტური მექანიზმი, რათა პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას, ჰქონდეთ გასაჩივრების საშუალება და არ გაჩუმდნენ. ხელმძღვანელობამ უნდა წაახალისოს უმცირესობანი საჩივრის გამოთქმისას, როცა ისინი განიცდიან დისკრიმინაციას ან ეთნიკურობის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ არასასურველ დამოკიდებულებას, რათა ხელმძღვანელობისათვის ცნობილი გახდეს ასეთი პრობლემების არსებობის შესახებ და შეძლოს მათი მოგვარება.

ეთნიკური უმცირესობის წარმომავლობის ზოგიერთმა, საერთო პრობლემების მქონე პოლიციის თანამშრომელმა, შესაძლებელია გადაწყვიტოს, რომ საკუთარი პროფესიული ასოციაციის დაარსება გამოადგებოდეთ. პრინციპში პოლიციის ხელმძღვანელობამ მხარი უნდა დაუჭიროს ასეთ ინიციატივას და უნდა დაეხმაროს მათ დაფუძნებას. ასეთი პროფესიული კავშირების დაარსება ადამიანის უფლებაა და მათ შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ეთნიკური უმცირესობის პოლიციის თანამშრომლებს, განსაკუთრებით მაშინ როცა მათი რაოდენობა ორგანიზაციაში მცირეა და ისინი გეოგრაფიულად იზოლირებულები არიან. ასევე პროფესიულმა კავშირებმა შესაძლებელია შეასრულონ მაკავშირებლის თუ შუამავლის ფუნქცია პოლიციის ხელმძღვანელობასა და ეთნიკური უმცირესობის პოლიციის თანამშრომლებს შორის, აგრეთვე, მისცენ მნიშვნელოვანი რჩევები ხელმძღვანელობას უმცირესობათა საკითხებში. ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ უმრავლესობის წარმომადგენლებმა გაიაზრონ ასეთი ასოციაციების ფორმირებისა მიზეზები და ის, რომ ამ ასოციაციებს შესწევთ უნარი შექმნან უფრო მყარი საფუძველი ორგანიზაციაში ეთნიკური უმცირესობის პოლიციელთა ინტეგრაციისათვის. ხოლო ასეთი პროფესიული კავშირების გაფორმება თუ წევრად გახდომა არ უნდა მოხდეს ძალდატანებით, რადგან ზოგიერთ მათგანს არ ექნება სურვილი ასეთი სახით გამოამჟღავნოს თავისი ეთნიკური წარმოშობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკური უმცირესობის პოლიციის თანამშრომლების განაწილებასა და დისლოკაციას. ეს თანამშრომლები არ უნდა იყვნენ მიღებული პოლიციაში სპეციალურად იმ მიზნით, რომ იმსახურონ თავიანთ სათვისტომოებში: ისინი უნდა აიყვანონ იმისათვის, რომ გახდნენ ზოგადად

პროფესიონალი პოლიციელები, რომლებსაც ექნებათ საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენლებთან მუშაობის უნარი. ამავე დროს, იმ სახელმწიფოებში, სადაც ეთნიკური უმცირესობანი დასახლებულნი არიან გარკვეულ ადგილებსა და რეგიონებში, პოლიციის რიგებში ეთნიკურ უმცირესობათა შერჩევა ალბათ სწორედ ამ რეგიონებიდან ხდება და ისინი სწორედ აქ განაგრძობენ სამსახურს. როგორც ზემოთაა აღნიშნული მე-4 რეკომენდაციაში, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიციის ორგანიზაციისათვის სათვისტომოების შეცნობის საქმეში, მასთან კონტაქტის დამყარების და საზოგადოების ნდობის მოპოვებისათვის. თუმცა ასეთი თანამშრომლები პირველ რიგში უნდა ითვლებოდნენ პოლიციის ჩვეულებრივ თანამშრომლებლად და მხოლოდ შემდეგ, თანამშრომლებად, რომელთა ეთნიკური წარმომავლობა საშუალებას აძლევთ მათ შეასრულონ განსაკუთრებული დავალებანი მათი შესაძლებლობების გამოყენებით. ეთნიკური უმცირესობის წარმომავლობის პოლიციის თანამშრომლები არ უნდა განიცდიდნენ ზეწოლას, რათა იმუშაონ უმცირესობებით დასახლებულ ადგილებსა და საზოგადოებებში. ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს მათი წახალისება არა საკუთარ სათვისტომოებთან, არამედ შერეული ჯგუფების დასახლების ადგილებში გამოცდილების შესაძენად. როცა ეს პოლიციელები მუშაობენ თავიანთ საკუთარ სათვისტომოებთან, ხელმძღვანელობა უნდა ეცადოს, რომ ისინი მსახურობდნენ ეთნიკურად რაც შეიძლება მეტად შერეულ საპოლიციო გუნდებში.

როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი ტიპის ინიციატივები და ცვლილებები საჭიროებენ პოლიციის შინაგანი კულტურის ფუნდამენტალურ ცვლილებას – ერთეოვანი ორგანიზაციის მრავალეროვან ორგანიზაციად გადაქცევას, აგრეთვე, პოლიციის რეფორმის სხვა ფუნდამენტალური ასპექტების შეცვლას, როგორებიცაა პოლიციის პროფესიონალიზაცია და “საზოგადოების მომსახურების” ორიენტაციის განვითარება. პოლიციის შინაგანი კულტურის ტრანსფორმაციის პროცესი უნდა იყოს დიდი ყურადღებით ორგანიზებული, რათა სასურველი შედეგები მიღწეულ იქნას რაც შეიძლება მოკლე დროში და ამ ცვლილებებისადმი ორგანიზაციის შინაგანი წინააღმდეგობები იყოს მინიმუმამდე დაყვანილი. ამ მიზნის მისაღწევად მაღალი დონის პოლიციის მოხელეებს მოეთხოვებათ ლიდერობა, თავდადება და ხელმძღვანელობის განსაკუთრებული უნარი.⁶

III. მომზადება (ტრენინგი) და პროფესიული ზრდა

8. *პოლიციის თანამშრომლებმა უნდა გაიარონ სათანადო მომზადება და მიიღონ პროფესიული დახმარება სხვადასხვა ფორმით, რათა შესძლონ ეროვნულ*

⁶ დამატებითი ინფორმაცია დასაქმებისა და წარმომადგენლობის საკითხებზე მოცემულია ევროპის მართლწესრიგის დაცვისა და ადამიანის უფლებების პლატფორმის ბუკლეტში: “პოლიციის კადრების შერჩევა ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებებიდან და მათი სამსახურში შენარჩუნება”. იხილეთ ვებ გვერდი <http://www.epphr.dk/downloads.htm>.

უმცირესობათა მტკივნეულ საკითხებზე ადეკვატური რეაგირება და ამ პრობლემების სწორად გაგება. პოლიციის მიერ მათზე დაკისრებული მართლწესრიგის დაცვის ვალდებულებების ეფექტურად განხორციელება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თანხმობის განმტკიცებას და დაძაბულობის შენელებას.

მომზადება არის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება იმ პროფესიული დახმარებისა, რომელსაც პოლიციის თანამშრომლები საჭიროებენ მრავალეთნიკურ საზოგადოებაში მათზე დაკისრებული მოვალეობების ეფექტურად შესასრულებლად. ასეთი მომზადების მიზანი უნდა იყოს პოლიციის თანამშრომლების ისეთი სპეციფიკური კვალიფიკაციით (როგორცაა მაგალითად, გათვითცნობიერება, ცოდნა და უნარ-ჩვევები) აღჭურვა, რომელიც აუცილებელია ასეთ გარემოში მუშაობისათვის. აუცილებელია ჩატარდეს “მომზადების საჭიროების ანალიზი,” რათა დადგინდეს შესაბამისი მოთხოვნილებანი თანამშრომლების მომზადებისათვის.

მომზადების საჭიროების ძირითადი სფეროები, რომლებიც ანალიზის შემდეგ დადგინდება, სავარაუდოდ შეიძლება იყოს შემდეგი: კულტურულ-რელიგიური გათვითცნობიერება, შუამავლური და საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები, ენისა და ადამიანის უფლებების სწავლება, იმ პირების უფლებების ჩათვლით, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან. მრავალეროვან საზოგადოებებში, პოლიციის ნებისმიერმა თანამშრომელმა უნდა მიიღოს მინიმალური წვრთნა ამ სფეროებში. ენის სწავლების დონე და კულტურულ-რელიგიური გათვითცნობიერების სწავლების შინაარსი დამოკიდებული იქნება ადგილობრივ სიტუაციაზე.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი მომზადება უნდა იყოს პრაქტიკული და პირდაპირ უკავშირდებოდეს თანამდებობრივ მოვალეობებს. თუ მომზადება მთლიანად თეორიაზე იქნება დაფუძნებული, მაშინაც კი თუ ეს თეორიები სავსებით გასაგებია, სავარაუდოდ ასეთ მომზადებას ექნება ძალზედ მცირე, ან საერთოდ არ ექნება გავლენა პოლიციის თანამშრომლების მოქმედებებზე. მომზადების შედეგად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პოლიცია უნდა მიიჩნევდეს მართებულად და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონედ. საჭიროა იმის დემონსტრირება, თუ როგორ დაეხმარება ეს ახალი უნარ-ჩვევები პოლიციის თანამშრომლებს თავიანთი მოვალეობების უფრო ეფექტურად და პროფესიულად შესრულებაში და რომ ამ უნარ-ჩვევების გამოყენება მათ ყოველდღიურ საქმიანობაში წაადგებათ.

პოლიციის თანამშრომლების პოზიციის შეცვლისაკენ მიმართული მომზადება უნდა დაიგეგმოს ღიდი სიფრთხილით, განსაკუთრებით მაშინ, როცა მომზადება ეხება გამოცდილ პოლიციელებს. მოწიფულ ადამიანთა უმეტესობის პირად პოზიციებს/შეხედულებებს ღრმა ფესვები აქვთ და ამიტომ მათი შეცვლის ნებისმიერი მცდელობა ხანმოკლე კურსის/ტრენინგის დროს ალბათ გამოიწვევს წინააღმდეგობას ან არაპროდუქტიულად ჩაითვლება, თუ ინსტრუქტორს არ ექნება მაღალი

კვალიფიკაცია. რაც მთავარია, მომზადებისას განხილული უნდა იყოს ისეთი საკითხები, როგორცაა: ეთნიკური ჯგუფების მიმართ ცრურწმენები და სტერეოტიპები, რომლებიც უმცირესობისადმი სამართლიანი და პროფესიული მოპყრობისას პოტენციურ დაბრკოლებებს წარმოადგენენ. ამ მომზადებამ უნდა მისცეს საშუალება პოლიციის თანამშრომლებს, დაფიქრდნენ საკუთარ დამოკიდებულებასა და ცრურწმენებზე და რომ ამან არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა მათ საქმიანობაზე.

ამდენად, ტრეინინგის ძირითადი აქცენტი არ უნდა იყოს გადატანილი არც ინფორმაციის მიწოდებაზე და არც შეხედულებების შეცვლაზე, არამედ წვრთნამ, პროფესიული სტანდარტების და ადამიანის საერთაშორისო უფლებებს გათვალისწინებით, პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიოს პოლიციის ყოველდღიურ საქმიანობას მრავალეროვან გარემოში. ამდენად, მომზადება უნდა ჩაითვალოს პროფესიული მხარდაჭერის ერთ-ერთ, თუმცა ძალზედ მნიშვნელოვან ფორმად და პროფესიული განვითარების საშუალებად. პროფესიული მხარდაჭერის სხვა ფორმები ქვემოთაა მოყვანილი მე-10 და მე-11 რეკომენდაციებში.

იმისათვის, რომ მომზადება პრაქტიკული გახდეს, საჭიროა შესაბამისი მეთოდების გამოყენება. ფორმალურ ლექციებს თავისთავად შეზღუდული ღირებულება ალბათ ექნება. ლექციები უნდა შეიცავდნენ ისეთ ინტერაქტიულ მეთოდებს, როგორებიცაა სტრუქტურული დისკუსიები და დებატები, გამოცდილებებისა და შეხედულებების გაცვლა-გამოცვლის ჩათვლით. ალბათ ყველაზე ღირსეული იქნება პრაქტიკული სავარჯიშოების და მრავალეროვან საზოგადოებებში მართლწესრიგის დაცვის ამოცანების გადაწყვეტის სიმულაციური სიტუაციების შექმნა.

მომზადებისადმი ეს პრაქტიკული დამოკიდებულება მოითხოვს ინსტრუქტორის როლის ცვლილებასაც. ასეთი მიდგომის დროს ინსტრუქტორი არ წარმოადგენს მხოლოდ ექსპერტს, რომელსაც გააჩნია და შეუძლია სპეციფიური ცოდნის გაზიარება, არამედ ის არის დებატების და გამოცდილებაზე დაფუძნებული შემეცნების სტიმულის მიმცემი. ამავე დროს უნდა ჰქონდეს უნარი და იყოს აღჭურვილი ნდობით, რომ თავისი როლი შეასრულოს. მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ექსპერტს დიდი მნიშვნელობა აქვს, ის მალე იქცევა რესურსად, რომლის ცოდნაზე დაყრდნობაც შესაძლებელია ეროვნული უმცირესობების და შიდა-ეთნიკურ ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე მეტად მნიშვნელოვანი რესურსია ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც შემსწავლელებს გააჩნიათ (განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი გამოცდილი პოლიციელები არიან). ის უნდა იქნას სათანადოდ გამოყენებული, გაზიარებული და შეფასებული.

9. რეკომენდირებულია, რომ პოლიციის როგორც უფროსი, ასევე უმცროსი რანგის თანამშრომლების მომზადება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებსა და ეროვნებათშორის ურთიერთობების საკითხებში მიმდინარეობდეს როგორც მომზადების საწყის ეტაპზე, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა იყვნენ ჩართული როგორც სწავლების დაგეგმარებაში, ისე მისი განხორციელების პროცესში.

უმცირესობათა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებული მომზადება (ტრეინინგი) უნდა იყოს პოლიციის თანამშრომლების საწყისი მომზადების შემადგენელი ნაწილი და მოიცავდეს ისეთ თემატიკას, როგორცაა: ადამიანის უფლებები, მართლწესრიგის დაცვა საზოგადოებაში და საზოგადოების მომსახურებაზე ორიენტირებული დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობისა და ეთნიკურობის საკითხებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ეს საკითხები არ უნდა იყოს გამოცალკევებული მომზადების (ტრეინინგის) სხვა შემადგენელი ნაწილებისაგან: მომზადება (ტრეინინგი) ახალწვეულებს ზოგადად უნდა ეხმარებოდეს მრავალეროვან გარემოში მართლწესრიგის დაცვის ნებისმიერი ამოცანის შესრულებაში. გამოცდილმა პოლიციელებმა კი, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნდა გაიარონ სპეციალურად ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მომზადება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხები მათ არ გაუვლიათ წინა ტრეინინგების დროს. წინა ხაზზე მყოფი პოლიციელების მომზადებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს რეალურ ოპერატიულ ამოცანებზე (პატრული, გამოძიება, დაპატიმრება და ა.შ.) და მათ უნდა გაიგონ, რომ ეს მომზადება პოზიტიურ როლს ითამაშებს მათ პროფესიულ განვითარებაში. ამ სასწავლო პროგრამებში უნდა მონაწილეობდეს სამოქალაქო პერსონალიც, განსაკუთრებით ისინი, ვისაც საზოგადოების წარმომადგენლებთან თავდაპირველი კონტაქტი ალბათ ექნებათ.

ორგანიზაციის მართვაზე პასუხისმგებელმა მაღალი თანამდებობის პოლიციელებმაც ასევე უნდა მიიღონ მომზადება ამ საკითხებზე, მაგრამ მათი მომზადების მიზანი განსხვავებული უნდა იყოს იმ პოლიციელებისაგან, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ (ან უშუალო ზედამხედველობას უწევენ ამ ამოცანების შესრულებას) დაკისრებულ ამოცანებს საზოგადოებაში. თუმცა მაღალი თანამდებობის პოლიციელები საჭიროებენ იმ საკითხებსა და პრობლემებში გარკვევას, რომლებსაც რიგითი თანამშრომლები აწყდებიან, მათი მომზადების (ტრეინინგის) დროს ძირითადად აქცენტი გადატანილი უნდა იყოს პოლიტიკის განხორციელებაზე, პოლიციის მუშაობის სტანდარტების დაწესებაზე, ორგანიზაციის შიდა მართვასა და მისი კულტურის შეცვლაზე, ამასთანავე საკითხებზე, რომლებიც ეხება უფრო ფართო საზოგადოებაში ეთნიკური დაძაბულობების და კონფლიქტების დროს სიტუაციის მართვას.

უმცირესობების და ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხებში პოლიციის თანამშრომლების მომზადებაში ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ წვლილის შეტანა. პოლიციამ პირველწყაროდან, უმცირესობის წარმომადგენლებისაგან უნდა გაიგოს არსებული კულტურულ-რელიგიური ადრთ-წესების და უმცირესობების პოლიციისადმი დამოკიდებულების შესახებ. მომზადების ეს ფორმები იძლევა აგრეთვე ეროვნულ უმცირესობებთან პირდაპირი კონტაქტის დამყარების და მათთან დისკუსიების გამართვის, სავარჯიშოებისა და სიმულაციური სიტუაციების გათამაშების (სადაც შესაძლებელია როლების გაცვლა, “ერთმანეთის ქუდის დახურვა”) საშუალებას. უმცირესობის წარმატებული მონაწილეობა პოლიციის მომზადებაში ხელს უწყობს ხილების აშენებას და პოლიციისადმი უმცირესობის ნდობისა და გაგების განმტკიცებას. უმცირესობათა წარმომადგენლები ზოგიერთ სპეციფიურ ლექციებზე დასწრებასთან ერთად, აქტიურად უნდა იყვნენ ჩაბმული მომზადების ყველა ეტაპში, მონაწილეობას უნდა იღებდნენ ასეთი ლექციების დაგეგმვასა და შეფასებაში და მომზადების საჭიროების დადგენის თავდაპირველ ეტაპშიც. პოლიციამ უნდა დაამყაროს რეგულარული თანამშრომლობა უმცირესობათა სხვადასხვა სფეროს ასოციაციებთან, რათა განივითარონ ნდობა და უნარ-ჩვევები პოლიციის მომზადების საჭიროებების დაკმაყოფილების საქმეში უმცირესობათა და ეროვნებათშორის საკითხებთან დაკავშირებით. უმცირესობათა ასოციაციებიდან მრავალფეროვნად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი სხვადასხვა ასაკის, სქესის და შესაბამისი ასპექტების მიხედვით შერჩეული ადამიანები და ეს წარმომადგენლობა არ უნდა შედგებოდეს მხოლოდ ოფიციალურად აღიარებული ან თვითდასახელებული “თანამეგობრობის ლიდერებისაგან”.⁷

10. პოლიციის მოქმედების კოდექსი უნდა შეიცავდეს მრავალეროვან საზოგადოებებში მართლწესრიგის დაცვის პროფესიულ ნორმებს, ხოლო პოლიციის თანამშრომელთა მოსამზადებელი პროგრამები უნდა შეიცავდეს სპეციფიურ კომპონენტებს სასურველი სტანდარტების მისაღწევად. ამ ნორმების დარღვევას უნდა მოჰყვეს დისციპლინარული სასჯელი, ხოლო სანიშნო შესრულებას კი – პროფესიული და საჯარო აღიარება.

პროფესიული მომზადება არის ცოდნის შეძენის ფორმა, რომელსაც სპეციფიური მიზანი გააჩნია: სასურველი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით ამა თუ იმ პროფესიის თანამშრომლების აღჭურვა, რათა თითოეულმა მათგანმა მასზე დაკისრებული

⁷ ასეთი მომზადების (ტრენინგის) შესახებ დამატებითი მითითებები მოსაპოვებელია ევროპის საბჭოს გამოცემაში “ადამიანის უფლებები და პოლიცია” (1997), თავი “პოლიციის მომზადება მიგრანტებისა და უმცირესობათა საკითხებში”. აგრეთვე იხილეთ შემდეგი ვებ გვერდი [http://www.coe.int/T/E/Human_Rights/Police/2._publications/2.1_Trainers'_Supply_Kit/CI\(98\)1_Workbook_for_practice_oriented_teaching.asp](http://www.coe.int/T/E/Human_Rights/Police/2._publications/2.1_Trainers'_Supply_Kit/CI(98)1_Workbook_for_practice_oriented_teaching.asp)

სპეციფიური მოვალეობები პროფესიული სტანდარტების დონეზე შეასრულოს. იმისათვის, რომ განისაზღვროს ეს სტანდარტები, უნდა შედგეს მოქმედების კოდექსები და დადგინდეს პროფესიონალისათვის საჭირო ცოდნის დონე და უნარ-ჩვევები სტანდარტების მისლწევად. ეს პრინციპი უნდა მოქმედებდეს პოლიციის მომზადების კონტექსტში და კერძოდ, მრავალეროვან საზოგადოებაში საქმიანობისათვის პოლიციის მომზადებისას. მოსამზადებელი პროგრამები, და “მომზადების საჭიროების ანალიზები” რასაც ეს პროგრამები ეფუძნება (იხილეთ რეკომენდაცია მე-8 ზემოთ) ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ხელს უწყობდეს მოქმედების ასეთი კოდექსების განხორციელებას.

მოქმედების კოდექსები ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და განსაზღვრავს ზოგად ეთიკურ პრინციპებს, რომელთა გამოყენება პოლიციის საქმიანობაში წარმატების საწინდარია⁸. კოდექსებმა შეიძლება აგრეთვე განსაზღვრონ კონკრეტული მოქმედებები, რომელთა გატარებაც საჭიროა მართლწესრიგის დაცვის კონკრეტული ამოცანების განხორციელებისათვის - ასეთ შემთხვევაში მათ “პრაქტიკის კოდექსს” უწოდებენ. პრაქტიკის კოდექსები, როგორც წესი, ასახავენ ეთიკური პრინციპების გამოყენებას სპეციფიური პოლიციური დავალებების შესრულებისას განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ და საკანონმდებლო ჩარჩოებში. ამიტომ პრაქტიკის კოდექსები შემუშავებული უნდა იქნას სახელმწიფოების მიერ ინდივიდუალურად.

ძალზედ მნიშვნელოვანია შეიქმნას მოქმედებისა და სპეციფიური პრაქტიკის კოდექსები მრავალეროვან გარემოში პოლიციის მოღვაწეობის განსაკუთრებით პრობლემატური და საკამათო ხასიათის გამო. მართლწესრიგის დაცვისას პოტენციურად პრობლემატური სიტუაციებისა და პოლიციის მიერ შესასრულებელი კონტრავერსული (სადაო) ამოცანების მაგალითებია არსებული ეთნიკური კონფლიქტის მართვა, ეთნიკური დამაბულობისა შენელება, დაკავება-ჩხრეკის ოპერაციების ჩატარება ეთნიკურად მგრძობიარე ადგილებში, ან პოლიციის ოპერაციების ჩატარება ზოგადად ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებზე. პრაქტიკის დეტალური კოდექსები უნდა შედგებოდეს სპეციფიური მითითებებისაგან და დახმარებას უწევდეს პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ამ ამოცანებს ასრულებენ. (დამატებითი ახსნა-განმარტებისათვის იხილეთ რეკომენდაცია მე-16). მაგალითად, ეთიკურ დონეზე შეიძლება არსებობდეს კორუფციის უფრო დიდი რისკი ეროვნული ქსელების არსებობის გამო, და ეს რისკი შეიძლება საჭიროებდეს უფრო დიდ სიფხიზლესა და მოქმედებას გაურყვნელობის უზრუნველსაყოფად. თუმცა ასეთი ეთიკური საკითხები უნდა იქნას განხილული ზოგადად პოლიციის მოქმედების კოდექსის ჩარჩოებში და არა მრავალეროვან გარემოში მუშაობისათვის სპეციალურად შედგენილი კოდექსებით.

⁸ იხილეთ გაერთიანებული ერების მოქმედების კოდექსი კანონდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთათვის და ევროპის საბჭოს საპოლიციო ეთიკის კოდექსი, რომელიც ზემოთაა მითითებული მე-2 შენიშვნაში.

პროფესიული სტანდარტების და მოქმედების კოდექსების შესრულება უნდა იყოს აღიარებული პოლიციის ხელმძღვანელობის მიერ და მათ უნდა მიენიჭოთ განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლიციის თანამშრომლების დაწინაურებისათვის. ასეთი დაწინაურება უნდა ემყარებოდეს არსებული სტანდარტების შესაბამისად საქმიანობის ინდივიდუალურად შემოწმებას. ამ კოდექსების და სტანდარტების დარღვევებს უნდა მოჰყვეს შეცდომების გამოსასწორებელი მოქმედებანი, რათა მსგავსი შემთხვევები არ განმეორდეს, ხოლო სერიოზულ დარღვევებს უნდა მოჰყვეს დისციპლინარული პროცედურები პოლიციის თანამშრომლის მიმართ. მომზადების ფუნქცია უნდა დაეხმაროს პოლიციას, იმოქმედოს ამ პროფესიული კოდექსებისა და სტანდარტების შესაბამისად. პოლიციელები რომელთაც გამოიჩინეს თავი სამაგალითო საქციელით, უნდა იყვნენ მოწვეული მოსამზადებელი ლექციების დროს სხვა თანამშრომლებისათვის თავიანთი გამოცდილების გასაზიარებლად. პროფესიული ხელშეწყობის ყველა ეს მექანიზმი გამოყენებული უნდა იქნას განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებთან პოლიციის საქმიანობაში.

11. *პოლიციის ხელმძღვანელებს და ზედამხედველებს გარკვევით უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა, რომ მათზე დაქვემდებარებულმა თანამშრომლებმა ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობისას დაიცვან სათანადო სტანდარტები. ხელმძღვანელობას უნდა შეეძლოს მართვის ხელში აღება და თვითონ უნდა იყოს საუკეთესო მაგალითის მიმცემი.*

პოლიციის საქმიანობა რეალურად რომ შეესაბამებოდეს არსებულ პოლიტიკასა და პროფესიულ სტანდარტებს, მხოლოდ მომზადება და მოქმედების კოდექსი არ არის საკმარისი. გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ საკითხში გადამწყვეტ ფაქტორებს ასევე წარმოადგენენ: მაღალი თანამდებობის პოლიციის თანამშრომლების ხელმძღვანელობის უნარი, მმართველობა და პოლიციის მუშაკთა ზედამხედველობა. პოლიციის იერარქიაში უფრო მაღალი თანამდებობის თანამშრომლების საქმიანობა უნდა იყოს სამაგალითო უფრო დაბალი წოდების პოლიციელებისათვის, სწორედ ხელმძღვანელობამ თავისი ყოველდღიური მოღვაწეობით უნდა აჩვენოს სავალდებულო სტანდარტების შესრულების მაგალითი. მათ მკაფიოდ უნდა მიუთითონ თავიანთ დაქვემდებარებულებს, რომ მათაც იგივენაირად მოეთხოვებათ ამ სტანდარტების შესრულება და გარდა ამისა, უნდა გაუწიონ ზედამხედველობა პოლიციელის თანამშრომლების სავალდებულო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების შესაბამისად მოქმედებას. თუ ხელმძღვანელობა პირადად არ ეთანხმება პოლიციის არსებულ პოლიტიკას და გააჩნია უარყოფითი, სტერეოტიპული დამოკიდებულება უმცირესობებისადმი, ან კიდევ თუ არ შესწევს უნარი სათანადო რეაგირება მოახდინოს უმცირესობების დისკრიმინაციისაკენ მიმართულ ინციდენტზე, მაშინ მათ დაქვემდებარებაში მყოფები სწრაფად მივლენ დასკვნამდე, რომ მოვალეობების

შესრულებისადმი მათ არა აქვთ სერიოზული მიდგომა. უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც უკვე გააჩნიათ სხვადასხვა ფორმებით უმრავლესობისაგან დისკრიმინაციის ცხოვრებისეული გამოცდილება, ასევე ნათელი გახდება, როდის ეპყრობიან სამართლიანად, ნამდვილი პატივისცემით და როდის არა.

პოლიციის ხელმძღვანელმა თანამშრომლებმა და ზედამხედველებმა უნდა გაიარონ სათანადო მომზადება, რათა ღრმად ჰქონდეთ შეგნებული ამ პრობლემების მნიშვნელობა და შესძლონ მათი ეფექტურად გადაწყვეტაც. ასეთი მომზადების ძირითადი პრინციპები ზემოთაა მოცემული მე-9 და მე-10 რეკომენდაციაში. მრავალეროვან საზოგადოებაში მართლწესრიგის დაცვის პრობლემების მოგვარების უნარი ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული პირების შერჩევისას პოლიციის იერარქიაში და მაღალ თანამდებობაზე დაწინაურებისთვის.

როგორც ხაზგასმულია მე-7 რეკომენდაციაში, მთავარი მიზანი უნდა იყოს წლების განმავლობაში პოლიციის ორგანიზაციაში მტკიცე და თანმიმდევრული ხელმძღვანელობით და პრობლემების გადაჭრით შინაგანი კულტურის ცვლილების მიღწევა. მხოლოდ მაშინ გახდება ორგანიზაცია ნამდვილად მრავალეროვანი, პროფესიული და მიუკერძოებელი, რომლისთვისაც სამართლიანი და ეფექტური მოქმედება მრავალეროვან გარემოში ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა.

IV. ურთიერთობა ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებებთან

12. *ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე ნდობის ფაქტორის განმტკიცების მიზნით, პოლიციას უნდა დაეკისროს ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის გარკვეული მეთოდისა და პრაქტიკის შემუშავება.*

ზოგადად, დემოკრატიული და მომსახურებაზე ორიენტირებული დამოკიდებულება მართლწესრიგის დაცვის საკითხში და განსაკუთრებით, კონკრეტული მოქმედებები მოსახლეობასთან პოლიციის საქმიანობისა მოითხოვს რეგულარულ და ეფექტურ კომუნიკაციას პოლიციასა და მოქალაქეებს შორის. დემოკრატიულ საზოგადოებაში ეფექტური მართლწესრიგის დაცვა დაფუძნებული უნდა იყოს საზოგადოების თანხმობაზე და არა შიშზე. მოქმედებისას პოლიციას სჭირდება მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან არა მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატიულად ანგარიშვალდებულია, არამედ იმიტომაც, რომ საზოგადოების პრაქტიკული თანამშრომლობა (მაგალითად, ინფორმაციით უზრუნველყოფა, დანაშაულის შესახებ პოლიციისათვის ინფორმაციის მიწოდება, მოწმედ დადგომა, და ა.შ) ძალზედ მნიშვნელოვანია პოლიციისთვის თავისი როლის შესასრულებლად. ამდენად, ნებისმიერ

დემოკრატიულ ქვეყანაში მოსახლეობასთან ურთიერთობის და ნდობის მოპოვების მიზნით პოლიციამ უნდა შეიმუშავოს მეთოდები და პრაქტიკა ყველა დონეზე.

მრავალეროვან საზოგადოებებში პოლიცია აწყდება დამატებით პრობლემას. ნდობის მოპოვებისათვის კომუნიკაცია და ზომები უნდა ეხებოდეს ერთმანეთისაგან ენობრივად, კულტურულად, რელიგიურად და სხვა ფაქტორებით განსხვავებულ სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფებს და ისინი შეიძლება იყვნენ მიმოფანტული ან ერთად თავმოყრილი. უფრო მეტიც, ზოგიერთი ეს ჯგუფი შეიძლება წარსულში სახელმწიფოსაგან განიცდიდა დისკრიმინაციას ან ჩაგვრის სხვა ფორმებს, მათ შორის პოლიციის მხრიდანაც და ამის გამო ისინი კვლავ ძლიერი უნდობლობის გრძნობით არიან გამსჭვალული პოლიციისადმი. ამიტომ პოლიციამ საზოგადოებასთან ურთიერთობის მეთოდებისა და პრაქტიკის შერჩევას უნდა გაითვალისწინოს ეთნიკური მრავალფეროვნება და წარსული გამოცდილებები. მხოლოდ ასე შესძლებს ეფექტური ურთიერთობის დამყარებას და სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული ჯგუფების ნდობის მოპოვებას. განსაკუთრებული მცდელობა ალბათ იქნება საჭირო იმ ეთნიკური და ეროვნული უმცირესობებისა სასურველი ურთიერთობის დასამყარებლად და ნდობის მოსაპოვებლად, რომლებმაც წარსულში განიცადეს განსაკუთრებულად სასტიკი გაუცხოება და დისკრიმინაცია. ამისათვის ალბათ საჭირო იქნება პოლიციის მხრიდან მოთმინების გამოჩენა რადგან ამ საზოგადოებებთან სასურველი ურთიერთობის დამყარებას და მათი ლიდერებისა და მთლიანად საზოგადოების ნდობის მოპოვებას დასჭირდება გარკვეული პერიოდი.

უმცირესობებთან ურთიერთობის განვითარებისათვის პოლიციას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი. ზოგიერთი მეთოდი, მაგალითად ლიფლეტების გავრცელება და რადიო-ტელევიზიის გამოყენება არსებითად წარმოადგენს ერთმხრივი კომუნიკაციის ფორმებს და ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის გავრცელებისათვის. იმისათვის, რომ მიწოდებული ინფორმაცია გასაგები იყოს უმცირესობისათვის, შესაბამისი უმცირესობების ენებზე დაწერილი ლიფლეტები და ტელე-რადიო გადაცემებიც გამოყენებულ უნდა იქნას უმცირესობის ენებზედაც. ნდობის მოპოვებისა და ურთიერთგაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინტერაქტიულ მეთოდებს, რომლებიც პოლიციასა და უმცირესობას შორის პირდაპირ კონტაქტს და კომუნიკაციას ემყარება. ამ მეთოდებს შორის არის ესენი:

- ა) საზოგადოების ფორუმები. ისინი უნდა შედგებოდეს გაწონასწორებული ეთნიკური წარმომადგენლობისაგან და უნდა იკრიბებოდეს რეგულარულად, რათა განიხილებოდეს ყველა მონაწილისათვის აქტუალური საკითხები. ასეთი ფორუმები ჩვეულებრივ ასრულებენ საკონსულტაციო ფუნქციას და ისინი წარმოადგენენ ინფორმაციის წყაროს ადგილობრივი საზოგადოების უკეთესად შეცნობისათვის და განსაკუთრებით იმის შეცნობისათვის, თუ როგორია უმცირესობის დამოკიდებულება პოლიციის მოქმედებების მიმართ. გარდა ამისა,

საზოგადოების ფორუმებმა ხელი უნდა შეუწყონ უმცირესობების სახელმწიფო ინსტიტუტებთან დაახლოებას, პოლიციისადმი ნდობის გაზრდას, დახმარებას და დაბაულობის თავიდან აცილებასა თუ განმუხტვაში.

- ბ) საზოგადოებრივი შეკრებები. გამიზნულია პოლიციას მისცეს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის შესალებლობა ფართო მასშტაბით. საზოგადოებრივ შეკრებებს შეიძლება დაესწროს ყველა და ამ შეკრებების დროს განხილული უნდა იქნას პრობლემატური საკითხები. ამ შეკრებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებაში დაძაბული სიტუაციის დროს, რადგანაც პოლიციას ეძლევა საშუალება გაეცნოს საზოგადოების ფართო ფენების დამოკიდებულებას მოვლენებისადმი და გაავრცელოს სწორი ინფორმაცია შექმნილ სიტუაციასა და პოლიციის რეაგირებაზე.
- გ) საზოგადოების საკონსულტაციო საბჭოები. საზოგადოების საკონსულტაციო საბჭოებს გააჩნიათ სპეციფიური ფუნქცია, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ამ საბჭოებმა უნდა გაუწიონ კონსულტაციები მაღალი თანამდებობის პოლიციის წარმომადგენლებს ადგილობრივ საზოგადოებაში პოლიციის როლის ეფექტურად შესასრულებლად, ისეთ საკითხებში, როგორცაა მართლწესრიგის დაცვა ეთნიკური კონფლიქტების დროს, დისკრიმინაციის პრობლემების გადაწყვეტა და საზოგადოების საინფორმაციო მომსახურება. საკონსულტაციო საბჭოს წევრებად პოლიციამ უნდა მოიწვიოს ნდობით აღჭურვილი ის ადამიანები, ვისაც აქვს სასარგებლო კონსულტაციების გაწევის შესაფერისი გამოცდილება და უნარი. ეს უნდა იყოს ის ხალხი, რომელიც რეკომენდაციების შემუშავებას მიუდგება დამოუკიდებელი პერსპექტივიდან და ყოველთვის არ გაამართლებს პოლიციის მიერ წამოყენებულ წინადადებებს. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას.
- დ) პოლიციისა და საზოგადოების ერთობლივი სემინარები (ვორკშოფები.) ასეთმა სემინარებმა თავი უნდა მოუყაროს ერთად პოლიციასა და საზოგადოების წარმადგენლებს, რათა მათ ერთად იმუშაონ პოლიციასა და საზოგადოებებს შორის ურთიერთობებში გარკვეული პრობლემატური საკითხების გადაწყვეტაზე. მონაწილეთა რაოდენობა უნდა იყოს მცირე და მოწვეული უნდა იყვნენ ის ადამიანები, ვისაც რეალურად შესწევთ უნარი წვლილი შეიტანონ არსებული პრობლემების ან საკითხების გადაწყვეტაში. მსგავსი ფორმატის გამოყენება შესაძლებელია (ტრენინგის) მომზადების მიზნით, რათა გაიზარდოს ურთიერთგაგება და ზოგადად გაუმჯობესდეს თანამშრომლობის მეთოდები. ასეთი სემინარების წარმართვისათვის გამოცდილი მოდერატორი იქნება საჭირო.

- ე) საზოგადოების საკონტაქტო პუნქტები პოლიციის სადგურებში. ამ პუნქტებში უნდა მუშაობდნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომადგენლების პოლიციელები, რომლებსაც გააჩნიათ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის მიწოდების უნარი ლეგალურ პროცედურებზე და პოლიციაში სამსახურის დაწყების შესაძლებლობებზე. ამავე დროს ეს პუნქტები უნდა ასრულებდნენ “საზოგადოების მისაღები ოთახის” ფუნქციას, სადაც ეროვნულ უმცირესობებს ეძლევათ საშუალება, პოლიციას გაუზიარონ თავიანთი პრობლემები. საზოგადოების საკონტაქტო პუნქტები უნდა შეიქმნას რეგიონალური და ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოებში, პოლიციის აკადემიებში და მოსამზადებელ სკოლებში. გარდა ამისა, პოლიციის სადგურებში და სხვა დაწესებულებებში უნდა იყოს ორგანიზებული “ღია კარის დღეები”, როდესაც შესაძლებელი იქნება საკონტაქტო პუნქტების მონახულება (სკოლის ასაკის ბავშვების ჩათვლით) და შესაძლებელია ეს სპეციალურად მოეწყოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის.
- ვ) სპეციალურად გამოყოფილი პოლიციის პატრული, რომელიც რეგულარულად მონახულებს გარკვეულ საზოგადოებებს. პოლიციის ადგილობრივ სადგურებში უნდა დაინიშნონ კონკრეტული თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან გარკვეულ ეთნიკურ უმცირესობებთან კონტაქტის დამყარებასა და შენარჩუნებაზე. გარდა იმისა, რომ პოლიციის ეს თანამშრომლები გახდებიან საკონტაქტო პიროვნებები ეთნიკური უმცირესობისათვის პოლიციის სადგურებში, ისინი აგრეთვე მოახდენენ რეგულარულ პატრულირებას და მონახულებენ ამ ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ადგილებს (სკოლების ჩათვლით) და მათ აგრეთვე მოეთხოვებათ დაამყარონ პირადი კონტაქტები და რაც შეიძლება ფართო მასშტაბით მოიპოვონ ნდობა ამ საზოგადოების წარმომადგენლებისა. ამ გზით პოლიცია შესძლებს მუდმივი კონტაქტის შენარჩუნებას და ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნებებსა და პრობლემებზე რეაგირებას, ურთიერთგაგებასა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის შენარჩუნებას ეროვნულ უმცირესობებთან.

ასეთი მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული სახელმწიფოებრივ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. დონეების შესაბამისად აუცილებელი საკადრო შემადგენლობა და პრობლემები განსხვავებული იქნება. მაგალითად, სახელმწიფოებრივ დონეზე მაღალი თანამდებობის პოლიციელები და პოლიტიკის ლიდერები უნდა ხვდებოდნენ სახელმწიფო დონეზე ეროვნულ უმცირესობათა ლიდერებს, რათა განიხილონ პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის ზოგადი საკითხები, ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინციდენტები. ადგილობრივ დონეზე კი ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული საზოგადოების მართლწესრიგის დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებებზე და ადგილობრივ ინციდენტებზე. ასეთი შეხვედრების დროს უმცირესობათა ენები უნდა იყოს გამოყენებული და ეს პოლიციამ უნდა

უზრუნველყოს (იხილეთ ქვემოთ მე-13 რეკომენდაცია). გარდა ამისა, ღონისძიებების დაგეგმვისას პოლიციამ უნდა გაითვალისწინოს ეროვნულ უმცირესობათა რელიგიურ-კულტურული ადათ-წესები. მაგალითად, არ უნდა დაიგეგმოს ღონისძიებები რელიგიურ დღესასწაულებსა და ფესტივალებზე. პოლიციამ ასევე უნდა უზრუნველყოს რომ პოლიციასა და ეროვნულ უმცირესობათა შორის ურთიერთობის მექანიზმები ვრცელდება არა მხოლოდ ამ საზოგადოების ხანშიშესულ მამაკაცებზე, არამედ ქალებსა და ახალგაზრდა თაობაზეც.

13. ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის დროს, მრავალენოვანი თანამშრომლების შეძლებისდაგვარად დასაქმებით, მათი მომზადებით და აგრეთვე, კვალიფიცირებული თარჯიმნების გამოყენებით, პოლიციას უნდა შესწევდეს შესაბამის უმცირესობათა ენების გამოყენების უნარი.

“ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენცია (რამეწორკ ჩონვენტიონ)” (პუნქტი 10) ადგენს ეროვნული უმცირესობების უფლებას, გამოიყენოს თავისი მშობლიური ენა საზოგადოებაში და რამდენადაც შესაძლებელია, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დროსაც. ეს ასევე ადგენს უფლებას, რამდენადაც შესაძლოა, რომ გამოიყენონ მშობლიური ენა ისეთ სიტუაციებში, როგორცაა დაპატიმრება და სასამართლო. ამიტომ, როცა საკითხი ეხება ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობას, თანამშრომლებთან, ეჭვმიტანილებთან, მოწმეებთან თუ უბრალოდ ზოგადად საზოგადოების წარმომადგენლებთან კონტაქტის დროს პოლიციამ უნდა უზრუნველყოს ამ ენების გამოყენება, (მაგალითად, კონსულტაციების დროს, დანაშაულის თავიდან ასაცილებელი საქმიანობის დროს ან საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისას). იმ ფაქტორის გათვალისწინებით რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მშობლიური ენის გამოყენების კონტექსტების თვალსაზრისით და სხვადასხვა დონეზე ფლობენ მშობლიურ ენას, ოფიციალურ ენას ან სახელმწიფო ენებს, შეიძლება საჭირო გახდეს გამოკვლევის ჩატარება, რათა განისაზღვროს ადექვატური გადაწყვეტილების მიღება ამ სფეროში. პოლიციამ უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ ეროვნული უმცირესობის გარკვეული ჯგუფები (მაგალითად, მოხუცებულები და ქალები) შესაძლებელია ვერ საუბრობდნენ გამართულად უმრავლესობის ან ოფიციალურ ენაზე, იმის გამო რომ მათ არა აქვთ მიღებული საჭირო ფორმალური განათლება, ან იმის გამო, რომ მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეზღუდულია.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების პოლიციის რიგებში მიღება მაშინვე უზრუნველყოფს პოლიციას საჭირო რესურსებით ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ეროვნული უმცირესობის წარმომავლობის პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც საკუთარ ეთნიკურ გარემოში მსახურობენ, შესაძლებლობა მიეცემათ გამოიყენონ ენის ცოდნა უმცირესობასთან ურთიერთობისას. ზოგიერთი შემთხვევისას მათ ასევე

შეედლებათ შეასრულონ თარჯიმნის როლი კოლეგებისათვის, თუმცა მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან იმავე ეროვნულ უმცირესობას, გავლილი ჰქონდეთ მომზადება უმცირესობის ენაში. პოლიციას ასევე უნდა შეეძლოს კვალიფიცირებული და გამოცდილი თარჯიმნების გამოყენება ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის დროს. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ეჭვმიტანილებს ან მოწმეებს, დაკითხვისას პოლიცია არ უნდა დაეყრდნოს ოჯახის წევრებს – როგორც თარჯიმნის ფუნქციის შემსრულებლებს, ან იმ პიროვნებებს რომელთა კომპეტენციაც გაურკვეველია, რადგანაც ეს შეიძლება გახდეს გაუგებრობისა და არასწორი ინფორმაციის მიწოდების მიზეზი, რაც პოლიციის მუშაობის ხარისხს დასცემს და შესაძლებელია ამათ სერიოზული უსამართლობაც გამოიწვიოს იმ პიროვნებების მიმართ, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან.

14. პოლიციამ ინიციატივა უნდა აიღოს ეროვნულ უმცირესობათა წახალისებისა და მხარდაჭერის საქმეში, რათა დაეხმაროს მათ პოლიციასთან ურთიერთობასა და თანამშრომლობაში. ასე მაგალითად, პოლიციამ, უმცირესობათა წარმომადგენლებთან ერთობლივი ინიციატივით, ხელი უნდა შეუწყოს ეროვნულ უმცირესობათა დასაქმებას და მათ მომზადებას ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებისათვის. საზოგადოებრივი უსაფრთხოების ზრდისა და სამართლიანობის მიღწევის მიზნით, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები თავის(ი) მხრივ მზად უნდა იყვნენ პოლიციასთან ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მართლწესრიგის დაცვის ეფექტურობა დამოკიდებულია კარგად ინფორმირებულ მოქალაქეთა აქტივობის დონეზე, იმაზე, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებიან ისინი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობებს, რამდენად მზად არიან ითანამშრომლონ პოლიციასთან და დაეხმარონ პოლიციას თავისი ფუნქციის შესრულებაში. მრავალეროვან სახელმწიფოში, ეროვნულმა უმცირესობებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ პროცესში. როგორც ზემოთაა აღნიშნული მე-12 რეკომენდაციაშია, ეროვნულ უმცირესობებს შესაძლებელია არ ჰქონდეთ სამოქალაქო მოღვაწეობის გამოცდილება, და ასევე აწყდებოდნენ ბარიერებს (მაგალითად, ენობრივ ან დისკრიმინაციულ) ასეთი მოღვაწეობისათვის. გარდა ამისა, შეიძლება მათ არ ჰქონდეთ სახელმწიფო ორგანოებთან – განსაკუთრებით პოლიციასთან ურთიერთობის სათანადო ნდობა და რწმენა. თუ პოლიცია სერიოზულადაა დაინტერესებული ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ეფექტურად ჩართვით, მაშინ პოლიციამ თავის(ი) მხრივ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და იაქტიუროს – წაახალისოს და დაეხმაროს ეროვნულ უმცირესობებს ამ როლის შესრულებაში. არ უნდა უნდა იყოს პასიური და მხოლოდ გამოთქვას უკმაყოფილება,

რომ ეროვნულ უმცირესობებთან ვერ დამყარდა ურთიერთობა ისეთ დონეზე როგორც სხვა ჯგუფებთან.

პოლიციამ ამისათვის უნდა გამონახოს გზები, რითაც დაეხმარება უმცირესობებს სამოქალაქო საქმიანობაში ჩაბმასა და აგრეთვე, საკუთარი პოტენციალის გაზრდაში. პოლიციამ ამ მიზნის მისაღწევად უნდა გამოყოს რესურსები. შესაძლებლობების გაზრდა უმცირესობებისათვის ნაწილობრივ შესაძლებელია მიღწეულ იქნას ზოგადად ნდობის ფაქტორის გამტკიცებით, რაც მოცემულია მე-12 რეკომენდაციაში და აგრეთვე, ცოდნის გავრცელებით იმ უფლება- მოვალეობების შესახებ, რომლებიც ენება პოლიციის საქმიანობასა და მართლმსაჯულებას. თუმცა, უფრო ეფექტური შეიძლება იყოს, თუ პოლიცია შესძლებს სტრუქტურული და მუდმივი ურთიერთობების დამყარებას ეთნიკურ უმცირესობათა ასოციაციებთან და სხვა არასმთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად მოღვაწეობენ ამ სფეროში. ასეთ ასოციაციებსა და არასმთავრობო ორგანიზაციებს შესწევთ უნარი, დაეხმარონ პოლიციას, განამტკიცოს თანამშრომლობა ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებებთან და ამ ორგანიზაციებს აგრეთვე შეუძლიათ მიაწოდონ პოლიციას სასარგებლო ინფორმაცია და რჩევები ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე. პოლიციას შეუძლია უფრო ფორმალური პარტნიორობის დამყარება ამ ორგანოებთან ისეთი ინიციატივების ერთობლივად განხორციელებისათვის, როგორებიცაა პოლიციის რიგებისთვის ეთნიკური უმცირესობების პოტენციური კადრების შემჩნევა და მათი დახმარება, კონსულტაციები პოლიციის მომზადებაში ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებზე და აგრეთვე, ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტის დროს სხვადასხვა ფორმების რეაგირების შერჩევა. ასეთი სახის პარტნიორობა უნდა გულისხმობდეს ფორმალურ შეთანხმებას ორ ან უფრო მეტ თანაბრი უფლებების მქონე, დამოუკიდებელ ორგანიზაციას შორის ერთობლივ, გრძელვადიან თანამშრომლობაზე საერთო მიზნების მისაღწევად.

ეფექტური თანამშრომლობა ეროვნული უმცირესობების ჯგუფებთან და არასმთავრობო ორგანიზაციებთან საჭიროებს დროს და მოითხოვს ნდობისა და ურთიერთგაგების განვითარებას. თავიდან ორივე მხარე შეიძლება ეჭვიანობით ეკიდებოდეს ასეთ პარტნიორობას: უმცირესობებმა შეიძლება ეჭვი შეიტანონ პოლიციას მოქმედებებში და ჩათვალონ, რომ მას აქვს 'ფარული გეგმები', როგორცაა მაგალითად, ინფორმაციის მოპოვება ეროვნულ უმცირესობათა კრიმინალური საქმიანობის შესახებ; თავის(ი) მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან ურთიერთობის გამოცდილების უქონლობის გამო, პოლიციამაც შეიძლება შეიტანოს ეჭვი ამ ჯგუფების მოტივაციაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ ჯგუფებმა პოლიციისადმი თავიანთი კრიტიკული დამოკიდებულება წარსულში საჯაროდ გამოხატეს. რაც მთავარია, უნდა მოიძებნოს საერთო მიზნები; როგორცაა პოლიციასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება და უმცირესობათათვის სამართლიანობის მიღწევის უზრუნველყოფა, და ამის საფუძველზე

გამოინახოს ურთიერთდახმარების გზები, ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციებისა და მუშაობის სტილის მხედველობაში მიღებით (არასამთავრობო ორგანიზაციების იმ უფლების ჩათვლით, რომლის საფუძველზეც არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ არასწორი ნაბიჯებისათვის გააკრიტიკონ პოლიცია საზოგადოების სახელით). გამოცდილება აჩვენებს, რომ პარტნიორობით მიღწეული წარმატება ორივე მხარისთვის აშკარაა და დროთა განმავლობაში არსებითად მატულობს. ამ პარტნიორობის შედეგად იქმნება ჩარჩოები, რომლებიც საშუალებას იძლევა დიალოგით და შუამავლობით გადაიტარას პოლიციასა და ეროვნულ უმცირესობათა ურთიერთობისას წამოჭრილი ნებისმიერი შემდგომი პრობლემა.⁹

უმცირესობებს შესწევთ უნარი, თავად შეიტანონ წვლილი საზოგადოების უსაფრთხოებასა და სამართლიანობის მოპოვებაში, კერძოდ, ხელი შეუწყონ საკანონმდებლო უფლებებისა და პასუხისმგებლობების შეგნებას ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან კანონის შესაბამისად; ჩაუტარონ კონსულტაციები და გაუწიონ დახმარება დანაშაულის შედეგად დაზარალებულებს; საზოგადოებრივი უსაფრთხოების და მართლწესრიგის დასაცავად, ხელი შეუწყონ ეროვნულ უმცირესობათა ჩაბმას სამოქალაქო საქმიანობაში; მთლიანობაში დაიცვან თავიანთი წარმომადგენლების ინტერესები და მართლწესრიგის დაცვისა და სამართლიანობის დადგენის საკითხებში მოითხოვონ მათ მიმართ სამართლიანი მოქცევა. ბევრი საკამათო და კანონის დარღვევასთან დაკავშირებული საკითხი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის შეიძლება გადაწყდეს ამ საზოგადოების ტრადიციული მეთოდებით, პოლიციის ან სხვა სახელმწიფოებრივი სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის გარეშე. ამავე დროს, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ უმცირესობებმა ან ამ საზოგადოებების გარკვეულმა ჯგუფებმა თავის თავზე არ აიღონ მართლმსაჯულების ფუნქციები (მაგალითად, პოლიციისა და სასამართლოს ფუნქციების თავის თავზე დაკისრებით), და რომ ეროვნული უმცირესობის ყველა წარმომადგენლისათვის, თავისი კანონიერი უფლებების დასაცავად მისაწვდომი იყოს ზოგადად სახელმწიფოს სამართალდამცავი სისტემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავი სისტემა მისაწვდომი იყოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალებისთვის, რომლებიც შეიძლება განიცდიდნენ სქესობრივ დისკრიმინაციასა და ოჯახურ ძალადობას; მათ უნდა შეეძლოთ თავისი კანონიერი უფლებების დაცვა და არ უნდა იყვნენ შეზღუდული თავიანთ საზოგადოებაში არსებული სტრუქტურებით.

⁹ დამატებითი მითითებანი პოლიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის განვითარების შესახებ გამოქვეყნებულია ევროპაში მართლწესრიგის დაცვისა და ადამიანის უფლებების პლატფორმის მიერ ბუკლეტში: “პოლიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები: რატომ და როგორ უნდა იმუშაონ ერთად ადამიანის უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პოლიციამ”. იხილეთ შემდეგ ვებ გვერდზე <http://www.epphr.dk/downloads.htm>.

15. რეკომენდირებულია, რომ შემუშავდეს მექანიზმები, რათა დემოკრატიულად განხორციელდეს პოლიციის მიერ საჯარო ანგარიშ-ვალდებულების ჩაბარება მისი მოქმედების შედეგებზე საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა წინაშე. ეს მექანიზმები უნდა მოიცავდეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის საჩივრების გამოხატვისა და განხილვისათვის ხელმისაწვდომ ეფექტურ სისტემას. საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა უნდა იცოდეს პოლიციასთან მიმართებაში თავისი უფლება-მოვალეობის შესახებ, აგრეთვე, პოლიციის უფლება-მოვალეობისა და მომსახურების შესახებ.

დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიცია უნდა იყოს პასუხისმგებელი არა მარტო სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების წინაშე, არამედ უშუალოდ საზოგადოების წინაშე. პოლიციამ უნდა განუმარტოს თავისი მოქმედებანი საზოგადოებას, რომელსაც ემსახურება და რომლის მხარდაჭარასაც საჭიროებს. ანგარიშვალდებულება არის პოლიციის მუშაობის ფუნდამენტალური პრინციპი “საზოგადოებრივი მართლწესრიგის” (ცომმუნიტყ პოლიცინგ) დაცვისას.

როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისათვის საჭიროა ფორმალური სტრუქტურების დაფუძნება (მაგალითად, ფორუმები ან წარმომადგენლობითი საბჭოები), სადაც პოლიციამ უნდა გააკეთოს ჩატარებული საქმიანობის ანგარიში და სადაც პოლიციას მოსთხოვენ, განმარტოს და დაასაბუთოს თავისი ნაბიჯები (იხილეთ ზემოთ მე-12 რეკომენდაცია). ეროვნული უმცირესობები წარმოდგენილი უნდა იყოს ასეთ საბჭოებში და უნდა მონაწილეობდეს ფორუმებში, რომლებიც ჩატარდება უმცირესობათათვის ადვილად მისაღწეად ადგილებში. უმცირესობებს უნდა მიეცეთ საშუალება, მშობლიურ ენაზე თავისუფლად წამოჭრან მათთვის მტკივნეული საკითხები პოლიციის მოქმედებებთან დაკავშირებით. ასეთი ფორმალური სტრუქტურები არ უნდა იმართებოდეს პოლიციის მიერ, არამედ ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელი. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ასეთი სტრუქტურების დაარსებას, რესურსებით მათ უზრუნველყოფას, და წაახალისონ ეროვნული უმცირესობები მათ საქმიანობაში ეფექტური მონაწილეობის მიღებისათვის. სახელმწიფოებმა აგრეთვე უნდა გაითვალისწინონ პოტენციური უპირატესობა, რომ ანგარიშვალდებულების სტრუქტურის შექმნა კანონით იყოს სავალდებულო.

ეფექტური მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს თითოეულ მოქალაქეს გამოთქვას საჩივარი პოლიციის მოქმედებებზე (რამდენადაც შესაძლებელია, მშობლიურ ენაზე), უნდა წარმოადგენდნენ ანგარიშვალდებულების სტრუქტურების ძირითად შემადგენელ ნაწილს. მოქალაქეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ განმარტებები პოლიციის კონკრეტულ მოქმედებებზე, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ ზიანის მომტანად ან არაპროფესიონალურად, და სადაც შესაძლებელია, აღადგინონ

სამართლიანობა სასამართლოს გარეშე. ზოგიერთი ინციდენტი შეიძლება მოგვარდეს პოლიციასა და მოქალაქეებს შორის დიალოგის საშუალებით და საჩივრების შეტანის პროცედურები უნდა იძლეოდეს ამის საშუალებას. უფრო სერიოზული ინციდენტები უნდა გადაეცეს ამ მიზნით დაფუძნებულ პოლიციის დამოუკიდებელ ორგანოებს, ან უფრო ზოგადი საჩივრების საგამომძიებლო ორგანოებს (მაგალითად, ომბუცმენტებს), თუ, რა თქმა უნდა, ისინი არსებობენ. მნიშვნელოვანია, რომ სამართლიანობის აღდგენისათვის პოლიციის არასწორი საქციელის გამო, უმცირესობებს, სხვა მოქალაქეების მსგავსად, უნდა შეეძლოთ საჩივრების შეტანის მექანიზმებით სარგებლობა. პოლიციის მეთაურებმა არა მხოლოდ პრინციპულად, არამედ პრაქტიკულადაც უნდა დაუჭირონ მხარი ასეთი საჩივრების სისტემის არსებობას, იმიტომ, რომ მათი არსებობა იწვევს საზოგადოების ნდობის ზრდას და ეხმარება პოლიციის ხელმძღვანელობას პოლიციის მიერ დაშვებულ შესაძლო შეცდომებზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პოლიციისადმი საჩივრების მექანიზმების არსებობა და ეფექტურად მუშაობა, ამ მექანიზმებში მოქალაქეების (ეროვნულ უმცირესობათა ჩათვლით) მონაწილეობა და მეთვალყურეობა, აგრეთვე ისიც, რომ ეს მექანიზმები მისაწვდომი გახდეს ყველა ეთნიკური და ეროვნული ჯგუფისათვის.

პოლიციასთან ეფექტურად თანამშრომლობისათვის და, ზოგადად, თავისი მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობის შესრულების მიზნით, უმცირესობა უნდა იცნობდეს თავის უფლება-მოვალეობებს პოლიციასთან ურთიერთობაში. აგრეთვე, იცოდეს პოლიციის უფლება-მოვალეობებისა და იმ მომსახურების შესახებ, რომელიც პოლიციის ფუნქციაში შედის. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცოდნის გავრცელება მოქალაქეებში არ წარმოადგენს პოლიციის სპეციფიურ მოვალეობას, პოლიციას აწყობს მოქალაქეებში ასეთი ცოდნის არსებობა, რათა მათ დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად შეასრულონ თავისი როლი. ამიტომ პოლიცია უნდა იყოს მზად, მხარი დაუჭიროს ინიციატივებს და აგრეთვე, აქტიურად ჩაერთოს ამ მიმართულებით საზოგადოების გათვითცნობიერებაში, განსაკუთრებით დაეხმაროს ასეთ მუშაობას სკოლებში ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. პოლიცია განსაკუთრებული მონღომებით უნდა მუშაობდეს ეროვნულ უმცირესობათა გათვითცნობიერისათვის, მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხისადმი მიძღვნილ შეხვედრებსა და სემინარებში საზოგადოების ლიდერებისთვის. სახელმწიფოებმა ეს ამოცანა მთლიანად არ უნდა გადააბარონ პოლიციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, არამედ მართლწესრიგის დაცვისას უმცირესობათა ენებზეც თავად უნდა უზრუნველყონ მოქალაქეების უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის ფართოდ მიწოდება და ეს ინფორმაცია უნდა შეიტანონ სკოლების სასწავლო პროგრამაში.

V. ოპერატიული პრაქტიკა

16. მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები, რათა პოლიციამ მიუკერძოებლად და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გაატაროს კანონი, არ გამოარჩიოს ესა თუ ის ჯგუფი, ე. ი. არ განასხვავოს ის “ეთნიკური ნიშნით”. ასეთი ზომები უნდა მოიცავდეს ოპერატიული პრაქტიკის ისეთ ნორმებს, როგორცაა პოლიციის უფლებამოსილება – გააჩეროს და გაჩხრიკოს ესა თუ ის პიროვნება ქუჩაში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, პოლიცია დემოკრატიულ სახელმწიფოში ჩვეულებრივ წარმოდგენს ხელისუფლების ყველაზე უფრო ხილვად ორგანოს, აგრეთვე ახდენს ყველაზე საგრძნობ ზემოქმედებას მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის თანამშრომლები, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები, სანიმუშოდ სარგებლობდნენ საკუთარი უფლებამოსილებებით. ამისათვის აუცილებელია, რომ პოლიციამ ყოველთვის იმოქმედოს პროფესიულად, ადამიანის უფლებების შესაბამისად, აგრეთვე მიუკერძოებლად და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე გაატაროს კანონი.

პოლიციის თანამშრომელთა სამსახურში აყვანა ხდება საზოგადოების ფართო ფენებიდან და მათ შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა უმცირესობების წარმომადგენელთა შესახებ ცოდნისა და ცრუ შეხედულებების განსხვავებული დონე. ასეთი წინაზრახვები შეიძლება გამოიხატოს ღიად ან ფარულად. ნებისმიერი ფორმით, მათ შეიძლება მოახდინონ გავლენა პოლიციის თანამშრომლის ქცევაზე გარკვეული ეთნიკური ჯგუფების მიმართ. ამიტომ ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ პოლიციის თანამშრომლები განსხვავებულად ექცეოდნენ გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ღიად ან ფარულად, თუ კი არ იქნება გადადგმული აქტიური ნაბიჯები ასეთი მოვლენების თავიდან ასაცილებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს “რასობრივი ნიშნით პროფილირების” პრაქტიკაზე. ასეთად ითვლება პოლიციის მიერ პირის რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების მიჩნევა განმსაზღვრელ ფაქტორად კანონის პოტენციური დამრღვევების იდენტიფიცირებისას. პირები, რომლებიც ხვდებიან ამგვარი დახასიათების ჩარჩოებში, ექცევიან სამართალდამცავი ორგანოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, კერძოდ, “დაკავება და ჩხრეკისას”, სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებისას, დოკუმენტების შემოწმებისას და ა.შ. რასობრივი ნიშნით პროფილირება გულისხმობს რასობრივი ან ეთნიკური სტერეოტიპებით ხელმძღვანელობას და არა ადამიანის რეალური ქმედებების ალბათობის განსჯას, ჩართულია თუ არა პირი დანაშაულებრივ საქმიანობაში. არსებობს მრავალი დადასტურება იმისა, რომ რასობრივი ნიშნით პროფილირება არაფორმალურ საფუძველზე ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში სამართალდამცავი ორგანოების მიერ

ეუთო-ს მთელ რეგიონებში, თუმცა ოფიციალურად იგმობა. ჟგუფები, რომლებიც განიცდიან ამგვარ დამოკიდებულებას პოლიციის მხრიდან, განსხვავდებიან სხვადასხვა სახელმწიფოებში, მაგრამ რომას ხალხის და ბოშათა პროფილირებას ადგილი აქვს მთელ ევროპაში.

ყველა სახელმწიფოს, მიუხედავად მისი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა, ეძლევა პოლიციის ოპერაციების მონიტორინგის რეკომენდაცია, რათა დადგინდეს ეთნიკური დისკრიმინაცია არსებობს თუ არა. ამგვარი მონიტორინგი ითვალისწინებს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე იმის განსაზღვრას, ხდება თუ არა ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ პროპორციულ და თანაბარ დონეზე მოპყრობა პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციების დროს, მაგალითად როგორცაა “დაკავება და ჩხრეკა”. მონიტორინგი მისცემს საშუალებას სახელმწიფოებს, შეასრულონ საერთაშორისო ვალდებულებები (კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად), აგრეთვე შიდა ვალდებულებები (კონსტიტუციისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად) რასობრივ საფუძველზე არსებული დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად. თუ ამგვარი მონიტორინგი კონფიდენციალობის დაცვით ხდება და შესაფერისი მონაცემები ანონიმურობით განზოგადებულ იქნება და სტატისტიკური სახით თავი მოეყრება, მაშინ ინდივიდუალური პიროვნებების უფლებება არ დაირღვევა.

სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა შეიმუშაონ მკაფიო პოლიტიკა და დაამტკიცონ პროფესიული სტანდარტები, რომლებიც მოითხოვს თანაბარ მიდგომას და კრძალავს დისკრიმინაციას პოლიციის მიერ კანონის გამოყენებისას. ეს პოლიტიკა და სტანდარტები უნდა იყოს გამყარებული მომზადებითა და დაწვრილებითი მოქმედების კოდექსებით. როგორც მე-10 რეკომენდაციაშია აღნიშნული, მოქმედების ასეთი კოდექსები მკაფიოდ უნდა აღწერდნენ ქცევას, რომელიც მოეთხოვებათ პოლიციის თანამშრომლებს სპეციალური დავალებების შესრულებისას, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დისკრიმინაციის და არაპროფესიული ქმედებების რისკი. ასეთი კოდექსები განსაკუთრებით საჭიროა იმ ამოცანების შესრულებისას, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყვნენ დისკრიმინაციული ქცევის რისკთან, მაგალითად: პოლიციური უფლებამოსილების გამოყენება ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში პიროვნებების დაკავებისა და შემოწმების დროს, შემოწმებები საზღვრის გადაკვეთისას, დაპატიმრებისას ძალის გამოყენება, პოლიციური “რეიდების” ჩატარება დასახლებულ ადგილებში, ეთნიკური კონფლიქტების და საზოგადოებრივი არეულობის მართვა. კოდექსების დარღვევა უნდა იწვევდეს დისციპლინარულ სასჯელს.

მრავალეროვან საზოგადოებაში პოლიციის მიუკერძოებელი და არადისკრიმინაციული მოქმედების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახელმწიფოები უნდა ახდენდნენ

ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული მართლწესრიგის დაცვის პოლიტიკისა და ზოგადად პრაქტიკის “სისტემატურ შეფასებას”.¹⁰ შეფასებისას უნდა მოხდეს მიმდინარე მართლწესრიგის დაცვის პრაქტიკის შედარება საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებსა და ადამიანის უფლებებთან. ეს შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მონაცემებს, რომლებიც მიღებულია კვლევის, ინციდენტების ანალიზის და ეროვნულ უმცირესობებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების საფუძველზე. უნდა შედგეს სამოქმედო გეგმები მართლწესრიგის დაცვის იმ სფეროებისათვის, რომლებიც არ ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

17. საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამართლიანობის მიღწევის მიზნით, პოლიციამ უნდა გადადგას ნაბიჯები დანაშაულის მხილებისას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების წასახალისებლად.

დანაშაულის გახსნისას პოლიცია ნებისმიერ ქვეყანაში დიდად დამოკიდებულია საზოგადოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. ეუთო-ს მოქმედების რეგიონიდან არსებობს მრავალი დამადასტურებელი მაგალითი იმისა, რომ ეროვნული უმცირესობები ნაკლებად ხასიათდებიან პოლიციისათვის დანაშაულის ინფორმაციის მიწოდებით, ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფების წარმომადგენლები. თუ პოლიციას სურს თანასწორად გამოეხმაუროს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს, მაშინ მან უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ეროვნულ უმცირესობებს ჰქონდეთ სურვილი დანაშაულზე ინფორმაცია მიაწოდონ ისევე, როგორც ამას აკეთებენ მოსახლეობის სხვა ჯგუფები. პოლიცია უნდა იყოს თანაბრად პროფესიული და ეფექტური მაშინ როცა საქმე ეხება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოვლენასა და გამოძიებას, აგრეთვე – დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას. უმცირესობათა წარმომადგენლებს მხოლოდ მაშინ ექნებათ სურვილი მიაწოდონ პოლიციას ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ მათ მოეპყრობიან პატივისცემით, ხოლო მათ ბრალდებებს სერიოზულად მოეკიდებიან. პოლიცია რეგულარულად უნდა ახდენდეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების, ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქის, ინფორმირებას იმ საქმეთა პროგრესისა და შედეგების შესახებ, რომლებთანაც მათ გააჩნიათ შეხება როგორც დანაშაულის მსხვერპლს ან მოწმეს. კრომინოლოგთა კვლევები აჩვენებს, რომ დანაშაულის მსხვერპლთა პერსონალური გამოცდილება პოლიციისთან ურთიერთობაში წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო უმცირესობათა, არამედ საზოგადოების ნებისმიერი სექტორის პოლიციისადმი ნდობის დონეს.

¹⁰ როგორც რეკომენდირებულია მართლწესრიგის დაცვის ეუთო-ს “რომასა და სინტისთან დაკავშირებული სიტუაციის გაუმჯობესების მოქმედებათა გეგმის” თავში (2003წ.), იხილეთ მისამართზე: http://www.osce.org/documents/odihhr/2003/11/1562_en.pdf

გამოკვლევები აჩვენებს, რომ ეროვნულ უმცირესობათა მიერ პოლიციისათვის დანაშაულის ინფორმაციის მიწოდების დონეზე ასევე მოქმედებენ ისეთი ფაქტორები როგორებიცაა: ინფორმაციის მიწოდების პროცედურების ცოდნა და ზოდადად სისხლის სამართლის სისტემის გაგება. პოლიციას შეძლებს მნიშვნელოვნად აამაღლოს უმცირესობათა წარმომადგენლების ცოდნისა და ნდობის დონე, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უმცირესობათა ასოციაციების დახმარების თხოვნით, რომლებსაც შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა პოლიციისათვის დანაშაულის შეტყობინებაზე ინფორმაციის გავრცელების საქმეში, აგრეთვე დანაშაულთა მსხვერპლთა წახალისება და მათი მხარდაჭერა დანაშაულის სამხილებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ამგვარმა ინფორმაციამ მიაღწიოს უმცირესობათა წარმომადგენელ ქალებამდე. პოლიციამ ასევე უნდა უზრუნველყოს ის, რომ უმცირესობათა წარმომადგენლებს შეეძლოთ ინფორმაციის მიწოდება პოლიციისათვის მშობლიურ ენაზე (იხილეთ რეკომენდაცია მე-13 ზემოთ).

მოქალაქეებს მეტი სურვილი გაუჩნდებათ აცნობონ პოლიციას დანაშაულის შესახებ, თუ ისინი თვლიან, რომ პოლიცია კარგად ართმევს თავს საკუთარ მოვალეობებს დამნაშავეობასთან ბრძოლას საქმეში. სახელმწიფოებმა სტიმული უნდა მისცენ პოლიციასა და ხელისუფლების ორგანოებს ადგილობრივ დონეზე “საზოგადოებრივი უსაფრთხოების” გამყარების კურსის შემუშავებაში და განხორციელებაში. “საზოგადოებრივი უსაფრთხოებაში” იგულისხმება პირობები როდესაც ადამიანთა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები თავისუფალია დამნაშავეობისაგან, და როდესაც ადამიანებს აქვთ უსაფრთხოების შეგრძნება როგორც საკუთარ სახლში, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოველდღიური საქმიანობის პროცესში. არასამთავრობო ორგანიზაციები და თვით მოქალაქეებიც უნდა აქტიურად ჩაებან ინიციატივებში უსაფრთხო საცხოვრებელი რაიონებისა და სამუშაო ადგილების უზრუნველსაყოფად, და ამ მიმართულებით მათ პოლიციასთან აქტიურად უნდა ითანამშრომლონ. უმცირესობათა წარმომადგენლები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ამ საქმეში. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ადგილობრივ დონეზე პოლიციასთან თანამშრომლობა მიმართული საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ წარმოადგენს მრავალეროვან საზოგადოებაში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის მნიშვნელოვან მეთოდს.

18. *მრავალეროვან რეგიონში რეგულარული პატრულირების განხორციელებისას, პოლიციამ, სადაც კი ეს შესაძლებელია, უნდა გამოიყენოს ეთნიკურად შერეული ძალები, საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და პოლიციის ოპერატიული ეფექტურობის გაზრდის მიზნით. პოლიციის ტაქტიკა და გარეგნული სახე (მაგალითად, პოლიციელთა რაოდენობა, იარაღის ხილვადობა, ფორმა) უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ დავალებას და არ უნდა იწვევდეს ტყუილუბრალო შიშსა და დაძაბულობას.*

როგორც ზემოთ, მე-4 რეკომენდაციაშია აღნიშნული, მრავალეროვან საზოგადოებაში პოლიციის საკადრო შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების შემადგენლობას. ეს იძლევა ყველა ეთნიკური ჯგუფის თვალში პოლიციის ლეგიტიმურობის გამყარების საშუალებას, აგრეთვე აძლევს პოლიციას შესაძლებლობას, აითვისოს პრაქტიკული ჩვევები და მიიღოს გამოცდილება საზოგადოების ყველა ფენაში მოღვაწეობისათვის.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოპერატიულ დონეზე იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის შემადგენლობა მრავალეროვანია. პოლიციისათვის აუცილებელია ყველა ჯგუფთან ურთიერთობა და მათი ნდობის მოპოვება, განსაკუთრებით – ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილ დაძაბულობებთან დაკავშირებულ სიტუაციებში. შერეული ჯგუფების პატრულების გამოყენება, შერეული ჯგუფები გამოძიებისა და სხვა სახის სამუშაოს შესრულებისას, ხელს შეუწყობს პოლიციას ამ მიზნის მიღწევაში. მრავალეროვანი პოლიციის ჯგუფები ასევე იძლევა რამოდენიმე ენის გამოყენების საშუალებას, რაც აადვილებს ამოცანის შესრულებას მრავალეროვან გარემოში. ამავე დროს, პოლიცია ახდენს სახელმწიფო სამსახურში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა თანამშრომლობის მაგალითის საზოგადოებისათვის დემონსტრირებას, რაც წარმოადგენს წარმატებული მრავალეროვანი სახელმწიფოს საფუძველს.

შერეული პატრულისა და სამუშაო ჯგუფების გამოყენებამ, შესაძლოა, საჭირო განადოს საგულდაგულო მართვა და ხელმძღვანელობის მხრიდან მხარდაჭერა, განსაკუთრებით იქ სადაც ახალწვეულები მუშაობენ ან იმ რაიონებში, რომლებშიც ეთნიკურ ნიადაგზე არსებობს დაძაბულობა. ხელმძღვანელობა უნდა იყოს მგრძობიარე დაძაბულობის პოტენციური წყაროების მიმართ, აგრეთვე დამატებითი ზეწოლის მიმართ, რომელსაც საზოგადოებაში დაძაბულობის დროს შესაძლებელია განიცდიდნენ გარკვეული ეროვნების პოლიციის თანამშრომლები. ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლის პოლიციის თანამშრომლების მუშაობას საკუთარ საზოგადოებაში მრავალი უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს როგორც პოლიციისათვის, ასევე საზოგადოებისათვის. თუმცა თუ უმცირესობასა და პოლიციას შორის კონფლიქტი წარმოიქმნება, მაშინ უმცირესობის წარმომადგენელი პოლიციის თანამშრომლები შეიძლება მოექცნენ ამ კომფლიქტის ცენტრში (იხილეთ აგრეთვე რეკომენდაცია მე-7 ეროვნულ უმცირესობათა პოლიციის თანამშრომლების დისლოკაციის შესახებ). თანამშრომლები მოსახლეობის ზირითადი ჯგუფიდან, რომლებიც მუშაობენ ეთნიკურ უმცირესობათა განსახლების ადგილებში, ასევე შეიძლება მოექცნენ ზეწოლის ქვეშ, რომლის შერბილებასა და ნეიტრალიზებაში დახმარების აღმოჩენა ხელეწიფებათ უმცირესობის წარმომადგენელ კოლეგებს. შერეული პატრულისა და სამუშაო ჯგუფების გამოყენება შეიძლება იძლეოდეს შესაძლებლობას თავიდან აცილებულ იქნას მსგავსი ტენდენციები, და ხაზი გაუსვას პოლიციის მისწრაფებას ეროვნებათაშორისი თანამშრომლობისა და პროფესიული ინტეგრაციისაკენ.

19. პოლიციამ უნდა უზრუნველყოს დისკრიმინაციის დაუშვებლობის კანონის მთელი ძალისხმევით და ეფექტურად გატარება. კერძოდ, მან უნდა გადადგას ნაბიჯები ეთნიკური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებების მხილების წახალისების მიზნით, აგრეთვე იზრუნოს ამ დანაშაულთა სათანადოდ დარეგისტრირებასა და გამოძიებაზე.

თანაბრად მოპყრობის უფლება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებას და ყველა სახელმწიფოს მიღებული აქვს კანონები, რომლებიც დისკრიმინაციის თავიდან აცილებისკენაა მიმართული. სახელმწიფოები განსხვავდება ერთმანეთისგან კანონმდებლობაში დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების ასახვის ხარისხითა და საშუალებებით. მაგალითად, ზოგიერთ სახელმწიფოში დისკრიმინაცია რეგულირდება სამოქალაქო სამართლის ნორმებით და არ განეკუთვნება პოლიციის პასუხისმგებლობის სფეროს. ასევე, ეთნიკური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის შემთხვევები შეიძლება მოექცეს სპეციალური კანონმდებლობის მოქმედების ქვეშ ან ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულებად საერთო სისხლის სამართლის კანონმდებლობით ან სულაც არ იყოს გათვალისწინებული კანონმდებლობით.

კანონით, ეთნიკური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებებისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში რა მოვალეობებიც არ უნდა გააჩნდეს პოლიციის თანამშრომლებს, მათ უნდა უზრუნველყონ ამ კანონის დაუყოვნებელი და თანმიმდევრული გატარება. ნებისმიერი დემოკრატიული და მრავალეროვანი სახელმწიფოს ფუნქციონირება დამოკიდებულია პოლიციის მიერ დისკრიმინაციისა და რასიზმის წინააღმდეგ მიმართული კანონების ეფექტურ გატარებაზე. უთუოდ, ეს მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პროკურატურისა და სასამართლოების როლთან, ყოველ სახელმწიფოში კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურებისა და პასუხისმგებლობის სფეროს შესაბამისად. და მაინც, ყველგან გადამწყვეტი როლი პოლიციას ენიჭება.

ეთნიკური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი ფიზიკური ძალადობის შემთხვევები წარმოადგენს ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის ყველაზე უფრო სერიოზულ ფორმას და უქმნის ყველაზე მეტ საფრთხეს მრავალეროვანი დემოკრატიული სახელმწიფოების სტაბილურობასა და ზოგად კეთილდღეობას. ამგვარ ქმედებებს მოაქვს სერიოზული ზიანი არა მარტო თითოეული ადამიანისათვის, არამედ – რადგან მიმართულნი არიან პიროვნებებისკენ მხოლოდ იმიტომ, რომ ამა თუ იმ ჯგუფს წარმოადგენენ – მთელი საზოგადოებისათვის და, აქედან გამომდინარე, მთლიანად საზოგადოებრივი წყობისთვის. აუცილებელია, პოლიციას გააზრებული ჰქონდეს თავისი როლის მნიშვნელობა ამ სახის დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში (მაგალითად ამ საკითხებზე ტრენინგის მეშვეობით), აგრეთვე ესმოდეს, რომ მთელი საზოგადოება დამოკიდებულია მის ეფექტურ მოქმედებაზე ამ მოვლენასთან ბრძოლაში.

რასიზმისა და ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი სიძულვილის ელემენტი დანაშაულში ხშირად მკაფიოდაა გამოხატული, თუმცა ზოგჯერ ის შეიძლება ძნელად შესამჩნევი ან ფარული იყოს. მრავალეროვან კონტექსტში პოლიცია ყოველთვის უნდა განიხილავდეს დანაშაულის ამგვარი მოტივის არსებობის შესაძლებლობას და (მიუხედავად მათი თავდაპირველი აზრისა ამ საკითხზე) ყოველთვის მიიღოს მხედველობაში მსხვერპლის ან ნებისმიერი სხვა პირის ვარაუდი რასობრივი მოტივაციის არსებობის შესახებ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება ნაჩოვას საქმესთან დაკავშირებით მკაფიოდ მიუთითებს, რომ ყველა ევროპული სახელმწიფო ვალდებულია გამოიძიოს რასობრივ ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის შესაძლო მოტივები.¹¹

ეთნიკური სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის უპირველესი პირობაა ამგვარი დანაშაულებების აღრიცხვისა და მათი შემდგომი ეფექტური გამოძიების პროცედურების არსებობა. ეს პროცედურები უნდა იძლეოდეს ეთნიკურად მოტივირებული დანაშაულის მტკიცებულებათა სათანადო შეკრების გარანტიას მათი სასამართლოში შემდგომი წარდგენისათვის. პოლიციის თანამშრომლებმა უნდა გაიარონ სათანადო მომზადება, რათა ჩაატარონ ეს პროცედურები და ესოდეთ მათი მნიშვნელობა. პოლიციამ ასევე უნდა მიაღწიოს იმას, რომ არა მარტო მოსახლეობის ძირითადი ჯგუფის, არამედ უმცირესობის წარმომადგენლებმაც, რომლებიც ბევრად უფრო ხშირად ხდებიან ამ დანაშაულებათა მსხვერპლნი, ჰქონდეთ პოლიციისადმი ისეთი ნდობის, რომ შეატყობინებენ მას ამგვარი დანაშაულებების შესახებ; პოლიციამ აგრეთვე უნდა ითანამშრომლოს ამ მიზნით უმცირესობათა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ასოციაციებთან. პოლიციამ უნდა შეაჯამოს და გაანალიზოს ასეთ დანაშაულებზე შეგროვილი, ანონიმური, სტატისტიკისთვის განზოგადებული ინფორმაცია, რათა მოახდინოს ამგვარი დანაშაულებების დინამიკის მონიტორინგი და მათი წარმატებით გამოძიება. საჭიროა ამ მონაცემების გაზიარება სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რათა მათ ითანამშრომლონ პოლიციასთან ამგვარი დანაშაულების თავიდან აცილების მიზნით.¹²

20. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დანაშაულის მსხვერპლთა რჩევებისა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც თანაბრად ხელმისაწვდომი და ეფექტური იქნება ეროვნულ უმცირესობებთან წარმომადგენლებისათვის.

¹¹ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლო (დიდი პალატა) 2005 წლის 6 ივლისი, “ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ” (ნომრები: 43577/98 43579/98), იხილეთ გვერდზე <http://www.echr.coe.int>

¹² 2004 წლიდან ეუთო-ს სპეციალური პროგრამა – საკანონმდებლო ორგანოების პროგრამა “სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლაში” – ემსახურება ეუთო-ში მონაწილე სახელმწიფოების პოლიციის ორგანიზაციებს ამ პრობლემების გადაწყვეტაში. იხილეთ http://www.osce.org/odihr/item_11_16251.html

ეუთო-ს წევრი სახელმწიფოები განსხვავებულად უდგებიან დანაშაულის მსხვერპლთა მოთხოვნებისა და უფლებების აღიარებას, აგრეთვე სთავაზობენ საკონსულტაციო დახმარებისა და მხარდაჭერის განსხვავებულ დონეს. ზოგიერთ სახელმწიფოში ეს ზომები უმნიშვნელოა ან საერთოდ არ არსებობს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში საერთაშორისო საზოგადოება უთმობს მხარდ ყურადღებას დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების აღიარების აუცილებლობას რიგი კონვენციებისა და დეკლარაციების მიღების გზით, განსაკუთრებით – ქალებისა და ბავშვების მიმართ. ასეთი დოკუმენტები მიუთითებს ადამიანთა კონკრეტულ უფლებებზე, რომლებიც შეესაბამება დანაშაულის მსხვერპლთა, მათ შორის – პირად ღირსებასა და თავისუფლებაზე, მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, სამედიცინო, ფიზიკურ და სოციალურ დახმარებაზე, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე და, მთლიანობაში, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე.

იმ ქვეყნებშიც კი, სადაც არსებობს ასეთი სამართლებრივი უზრუნველყოფა, გამოკვლევები აჩვენებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს, ხდებიან რა დანაშაულის მსხვერპლნი, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ამგვარ მხარდაჭერაზე და უმეტეს შემთხვევაში ისინი ვერ სარგებლობენ არსებული ამ მხარდაჭერით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: ამგვარი მომსახურების ადგილმდებარეობა, ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებებში ამ მომსახურების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა (ან მისდამი უნდობლობა), მომსახურების პრაქტიკაში გამტარებელთა არასაკმარისი მგრძობელობა და უმცირესობათა ენის არასაკმარისად ფლობა.

პოლიცია არ არის ერთადერთი და მთავარი ორგანო რომელიც პასუხისმგებელია დანაშაულის მსხვერპლთა თანადგომაზე, – ასეთად ითვლება მთლიანობაში სახელმწიფო. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი სტრუქტურები, რომლებსაც ხელეწიფება დანაშაულის მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენა ადგილებზე, აგრეთვე ისიც რომ ეს დახმარება ხელმისაწვდომი და მისაღები იყოს ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის. დანაშაულის მსხვერპლთა მხარდამჭერი ორგანიზაციები უნდა იყოს მთლიანად დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოებისაგან (და ასე აღიქმებოდეს მოსახლეობის მიერ), მაგრამ ეს ორგანიზაციები მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ სახელმწიფო ორგანოებთან. მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა.

მიუხედავად ამისა, პოლიციას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერაში, და ეს არის მართლწესრიგის დაცვაში პოლიციის მოღვაწეობის ეფექტურობას ნამდვილად ემსახურება. პოლიცია ხშირად წარმოადგენს იმ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც დანაშაულის მსხვერპლნი თავდაპირველად მომართავენ. ამ ეტაპზე დაზარალებულები შეიძლება იყვნენ ემოციურად დათრგუნვილები, მიღებული ჰქონდეთ ფიზიკური დაზიანებები, არ იყვნენ

გათვითცნობიერებულნი საკუთარ უფლებებში და, მთლიანობაში, ესაჭიროებოდათ სასწრაფო კონსულტაცია და მხარდაჭერა. ასრულებს რა თავის მოვალეობებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, პოლიციას უნდა შესწევდეს დახმარების აღმოჩენის უნარი საგანგებო შემთხვევებში და აგრეთვე შეეძლოს დაზარალებულების სწრაფად გაგზავნა შესაბამის სტრუქტურებში დახმარების აღმოსაჩენად. მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ დაზარალებულებს გაუწიოს სასწრაფო დახმარება ეფექტურად – როგორც დაზარალებულის უსაფრთხოების, ასევე პოლიციისადმი მისი ნდობის გამყარების ხელშეწყობის მიზნით. პოლიციისათვის აუცილებელია შეინარჩუნოს დაზარალებულის ნდობა, რათა ამ უკანასკნელმა ხალისით მიაწოდოს ინფორმაცია პოლიციას გამოძიებისათვის და მისცეს ჩვენებები სასამართლოში. ამ მიზნით მნიშვნელოვანია დაზარალებულთა ინფორმირება იმ დანაშაულის გამოძიების მსვლელობის შესახებ, რომელიც ჩადენილია მათ მიმართ. იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულს ისევ ან ჩვენების მიცემის სურვილის გამო ემუქრება საშიშროება, პოლიცია ვალდებულია უზრუნველყოს დაზარალებულის უსაფრთხოება.

პოლიციამ უნდა დაარწმუნოს როგორც უმცირესობათა, ასევე მოსახლეობის ძირითადი ჯგუფის წარმომადგენლები, რომ იგი მზადაა აღმოუჩინოს მხარდაჭერა და დაიცვას, თუ გახდებიან დანაშაულის მსხვერპლი. პოლიციასა და ეთნიკურ უმცირესობათა შორის კონფლიქტებისა და პოლიციისადმი უნდობლობის შემთხვევაში, უნდა გადაიდგას აქტიური ნაბიჯები ამ პოტენციური ბარიერის გადასალახავად. პოლიცია განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს ეთნიკური სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის ან ძალადობის მსხვერპლთა თანადგომასა და დაცვას. ამგვარი შემთხვევები ხშირად ხასიათდება “ორმაგი მსხვერპლით”, განმეორებადი დევნით, შურისძიების მუქარების გაცვლა-გამოცვლით ან ძალადობით სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წევრთა შორის. ამგვარად, მთელი საზოგადოება, და არა მხოლოდ მისი ცალკეული წარმომადგენლები, შეიძლება გახდეს მსხვერპლი ეთნიკური სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულისა, და პოლიციამ უნდა ცნოს შესაძლო საჭიროება, რომ მხარდაჭერა და დაცვა გაუწიოს არა მხოლოდ ინდივიდებსა და ოჯახებს, არამედ მთელ საზოგადოებასაც. საჭიროების შემთხვევაში, ამ მიზნით უნდა მოხდეს რისკის შეფასება.

VI. კონფლიქტის თავიდან აცილება და მართვა

21. პოლიციას სათანადოდ უნდა ჰქონდეს მიცემული დავალება და უნდა იყოს მზად, რათა გამოიჩინოს ინიციატივა ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, გამოავლინოს და შეძლებისდაგვარად შეანელოს დაძაბულობა, რომელიც შესაძლებელია გადაიზარდოს შიდაეთნიკურ კონფლიქტში.

როგორც შესავალშია აღნიშნული, ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი აკუთნებს პოლიციას გადამწყვეტ როლს ეროვნებათაშორისი კონფლიქტების თავიდან აცილების საქმეში. ეს გამომდინარეობს შემდეგი ფაქტორებისგან, როგორებიცაა: პოლიციის პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის დაცვაზე, ამ მიზნის მისაღწევად პოლიციის არსებული უფლებამოსილება, დადაბულობასა და ეთნიკური კონფლიქტის პოტენციურად გამომწვევი ინციდენტების შესახებ ინფორმაციის ფლობა, პოლიციის პროფესიული ჩვევები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ასეთი დადაბულობისა და ინციდენტების ფიზიკურ ძალადობაში გადაზრდის თავიდან ასაცილებლად.

ხშირად ივარაუდება, თითქოს პოლიციის პასუხისმგებლობა ეროვნებათაშორის კონფლიქტებთან მიმართებაში შეზღუდულია კონფლიქტის კონკრეტულ ინციდენტებზე პოლიციის რეაგირება: კერძოდ, წესრიგის დამყარებითა და კანონის დამრღვევთა პასუხისმგებაში მიცემით. ამგვარი განმარტება უგულველბელყოფს პოლიციის მნიშვნელოვან როლს მოსალოდნელი კონფლიქტის ადრეულ ეტაპებზე, აგრეთვე ეთნიკურ ჯგუფებს შორის დადაბულობის დეესკალაციაში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის შემდეგ. მარტო პოლიციას, რა თქმა უნდა, არ გააჩნია პასუხისმგებლობა ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტების თავიდან აცილებაზე და მათ დასარეგულირებლად ღონისძიებების გატარებაზე, მაგრამ სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი.

ეროვნებათაშორისი კონფლიქტების თავიდან აცილებაში პოლიციის მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ეთნიკურ ჯგუფებს შორის წარმოქმნილი დადაბულობის დონის მონიტორინგი, ფაქტობრივი მონაცემებისა და სისტემატური მაჩვენებლების საფუძველზე. მონაცემები უნდა ასახავდეს: (ა) სპეციფიური ინციდენტების რაოდენობასა და სერიოზულობას (მაგალითად მუქარებს და შიდა პიროვნულ ძალადობას) იმ პიროვნებებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფებს მიეკუთვნებიან, სადაც ესკალაციის პოტენცია არსებობს, და (ბ) საზოგადოების წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას, ჯგუფებს შორის ეთნიკური მტრობის ზოგადი დონის ან ასეთი ქმედებების გეგმების შესახებ. ამ მონაცემთა შესაკრებად პოლიციას ესაჭიროება ნდობის მოპოვება და კარგი კომუნიკაცია ყველა ეთნიკურ ჯგუფთან, აგრეთვე კავშირი ინფორმაციის სანდო და მიუკერძოებელ წყაროებთან.

სისტემატური მაჩვენებლები შემუშავებულ უნდა იქნას სხვადასხვა რეგიონებში ეთნიკური დადაბულობის დონის ინფორმაციის განზოგადებისა და შედარებისათვის. ასეთი მაჩვენებლები მოპოვებულ უნდა იქნას როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. ხელისუფლების სხვა ორგანოებს, ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე, და არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე შესწევთ უნარი წვლილი შეიტანონ დადაბულობის მონიტორინგში. თუმცა ასეთი მონიტორინგის შედეგად მიღებული

დეტალური ინფორმაცია შესაძლოა კონფიდენციალური უნდა იყოს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში პოლიციამ და ხელისუფლების ორგანოებმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალონ მათი დაკვირვების შედეგების საჯაროდ გამოტანა (მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის საშუალებები ან ექსტრემისტული დაჯგუფებები აზვიადებენ დაძაბულობის არსებულ დონეს პირადი მიზნებისათვის).

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ ეთნიკური დაძაბულობის მონიტორინგის სისტემა შემუშავებული იყოს პოლიციის მიერ და ეფექტურად ფუნქციონირებდეს როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე, მონაცემთა შეკრებასა და მათ მართვაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ გარკვეულ თანამშრომლებს, და რომ ამათ მიიღონ შესაბამისი წვრთნა ამ როლის განსახორციელებლად.

სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ აგრეთვე იმაზე, რომ პოლიციელებს მკაფიოდ ესმოდათ საკუთარი როლის მნიშვნელობა ეთნიკური კონფლიქტების თავიდან აცილების საქმეში, და რომ პოლიციელთა მომზადების პროგრამებში ამაზე იყოს აქცენტი. მომზადებისას მაღალი თანამდებობის პოლიციელებმა და ოპერატიულმა ხელმძღვანელებმა კარგად უნდა გაიაზრონ ეთნიკური კონფლიქტების დინამიკა და პოტენციური მიზეზები, მათ უნდა გამოიმუშაონ სასურველი საშუაშაგლო უნარ-ჩვევები, აგრეთვე გაიაზრონ, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიციის საჯარო ავტორიტეტი რათა დაიყოლიონ პოტენციურად კონფლიქტური ჯგუფები სიტუაციიდან და გამოსავალი მოძებნონ ძალადობის გამოუყენებლად.

სახელმწიფოები ასევე უნდა იძლეოდნენ იმის გარანტიას, რომ “ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების თავიდან აცილება” პოლიციის მიერ არ იქნება გაგებული როგორც უმცირესობების მიმართ რეპრესიული ზომების გატარების ნებართვა, რითაც დაირღვევა უმცირესობათა უფლებები, არამედ კონფლიქტის თავიდან აცილების ზომები უნდა გახდეს ნაწილი უფრო ფართო პოლიტიკისა უმცირესობათა ინტეგრაციის მხარდაჭერისა და ეთნიკური ურთიერთობების გამყარების საქმეში. პოლიციის ლეგიტიმურობა და მისი უნარი, დაიყოლიოს ყველა ეთნიკური ჯგუფი კონფლიქტური სიტუაციების არაძალოვანი გზებით გადაწყვეტაზე, პირდაპირ იქნება დამოკიდებული იმაზე, აღიქმება თუ არა პოლიცია ორგანოდ, რომელიც იმსახურებს ნდობას და მოქმედებს სამართლიანად მოსახლეობის ყველა ჯგუფის მიმართ ადამიანის უფლებათა შესაბამისად.

22. სამოქალაქო წესრიგის დარღვევის და შიდაეთნიკური კონფლიქტების ინციდენტების შემთხვევაში, პოლიცია სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული და აღჭურვილი, რათა პროფესიონალურად და მიუკერძოებლად იმოქმედოს, კონფლიქტები განმუხტოს და პრობლემები გადაჭრას შეძლებისამებრ

მომრიგებლური ხასიათის ზომების მიღებით, და ძალის მინიმალური გამოყენებით.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არის პოლიციის ერთერთი მთავარი მოვალეობა დემოკრატიულ სახელმწიფოში. მრავალეროვან სახელმწიფოში ღია ეროვნებათაშორისი კონფლიქტი წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ძალზე სერიოზულ ფორმას, რადგანაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სოციალური მთლიანობის საფუძვლებს. შესაბამისად, პოლიციის უნარი, მართოს და ჩააქროს საზოგადოებრივი არეულობის ასეთი კერები, პრინციპულად მნიშვნელოვანია მრავალეროვანი საზოგადოების კეთილდღეობის დასაცავად. ამიტომ თანამშრომლებმა, რომლებიც პასუხს აგებენ წესრიგის აღდგენისა და ეროვნებათაშორისი კონფლიქტების დარეგულირების ოპერაციებზე, უნდა გაიარონ შესაბამისი ტრენინგი/მომზადება. ასევე, ამ მიზნებისათვის შემუშავებულ უნდა იქნას პრაქტიკის დეტალური კოდექსები (პროფესიონალური მხარდაჭერისა და პრაქტიკის კოდექსების ზოგადი ინსტრუქციები ზემოთაა მოცემული მე-8 – მე-10 რეკომენდაციებში).

ეროვნებათაშორისი კონფლიქტების დარეგულირებისას პოლიცია უნდა იყოს არა მარტო ტექნიკურად ეფექტური, არამედ იცავდეს საკუთარ ლეგიტიმურობას ყველა ჯგუფის თვალში და ყოველთვის მოქმედებდეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების შესაბამისად. ერთერთ მთავარ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს პოლიციის მიერ ძალის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას კანონის შესაბამისად გააჩნია ძალის გამოყენების უფლება ღია კონფლიქტების დასარეგულირებლად, პოლიციის პროფესიულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ძალის მინიმალურად გამოყენება; მას უნდა მიმართონ მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევებში. შეძლებისდაგვარად, გამოყენებულ უნდა იქნას ალტერნატიული მეთოდები, ისეთი, როგორცაა შუამავლობა, აგრეთვე შემუშავებულ უნდა იქნას მკაფიო მითითებები, თუ რა ვითარებაშია გამართლებული ძალის გამოყენება და როგორ უნდა განხორციელდეს იგი.¹³

პოლიციას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი მოღვაწეობა განუყოფელია ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საერთო კონტექსტისაგან: იგი წარმოადგენს უწყვეტი სოციალური და პოლიტიკური პროცესის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს დემოკრატიულ სახელმწიფოში. მისი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ღია კონფლიქტების მოგვარებაზე სახელმწიფოს შიგნით, მოქმედებები შეიძლება ახდენდნენ, მოკლევადიან თუ შუალედურვადიან პერსპექტივაში, გადამწყვეტ გავლენას ეროვნებათაშორისი ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და სახელმწიფოს მომავალზე მთლიანობაში. ამასთან დაკავშირებით,

¹³ძალის გამოყენების გადაწყვეტილების მიღებისას მთლიანობაში, პოლიცია უნდა ითვალისწინებდეს გაერო-ს რეკომენდაციებს: “საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები” იხილეთ შემდეგ გვერდზე http://www.unhcr.ch/html/menu3/b/h_comp43.htm.

პოლიციის უნარი, შეინარჩუნოს ყველა ეთნიკური ჯგუფის ნდობა კონფლიქტის დარეგულირებისა და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის დროს, არის ძალზე მნიშვნელოვანი. თუ პოლიცია მოქმედებს უმცირესობების მიმართ წინასწარი განზრახვით (ან მისი მოქმედებები აღიქმება ასეთად), მისი როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი ორგანოს, ლეგიტიმურობა უმცირესობათა თვალში დაკნინდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის ყველა თანამშრომელი, მისი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, მოქმედებდეს პატიოსნად ეროვნებათაშორისი კონფლიქტის სიტუაციის დროს.

23. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის განმტკიცებისა და წარმატებული მრავალეროვანი საზოგადოების შენებისას, შიდაეთნიკური კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მართვაში პოლიციის საქმიანობის საერთო პრინციპებთან კოორდინირების მიზნით, პოლიციამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფოს მართვის სხვა ორგანოებთან, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე.

მაშინ, როდესაც ღია კონფლიქტების დარეგულირება ძირითადად შედის პოლიციის პასუხისმგებლობაში, ასეთი კონფლიქტების თავიდან აცილება არის ამოცანა, რომლის გადაჭრაც შეუძლია პოლიციას და რასაც ხელი უნდა შეუწყოს, თუმცა ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის პრეროგატივა. ხელისუფლების სხვა ორგანოებიც ასევე აქტიურად უნდა მოქმედებდნენ და განსაკუთრებით იჩენდნენ ლიდერობას ამგვარი კონფლიქტების სიღრმისეული მიზეზების გამოვლენასა და აღმოფხვრაში. თუ რომელი ორგანოები უნდა იყოს ამოქმედებული, ეს დამოკიდებულია კონფლიქტის მიზეზების ხასიათზე: მაგალითად, თუ კონფლიქტი განპირობებულია საცხოვრებელი ადგილისა და საკუთრების პრობლემით, მაშინ მთავარი როლის შესრულება შეიძლება იკისროს საბინაო სამმართველომ. კონფლიქტების მოგვარებაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს ის ორგანოები, რომელსაც გააჩნია უნარი, გააერთიანოს მოწინააღმდეგე ჯგუფების წევრები, გადოს ხიდები პერსონალურ დონეზე და შეიმუშაოს ერთობლივი პროექტები საერთო ინტერესების წინ წასაწევად. გრძელვადიან პერსპექტივაში, განათლება და განსაკუთრებით სხვადასხვა ჯგუფების ახალგაზრდების გამაერთიანებელი პროგრამები იქცევა გადამწყვეტ ფაქტორად და შესაბამისად საგანმანათლებლო ორგანოებმა უნდა ითამაშონ ერთი მთავარი როლი ამ საკითხში. იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საკითხები უნდა წყდებოდეს ადგილობრივ დონეზე, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე პოლიცია და ხელისუფლების სხვა ორგანოები უნდა გაერთიანდნენ ეროვნებათაშორისი კონფლიქტების თავიდან აცილების ერთობლივი სტრატეგიის შესამუშავებლად (მათ შორის, ინფორმაციის

საშუალებების გამოყენებით), მრავალეროვანი სახელმწიფოს მთლიანობის უზრუნველყოფისათვის. არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, რომ ასეთი კონფლიქტები წარმოიქმნა ან განძაფრდა, პირველ რიგში, იმის გამო, რომ პასუხისმგებელმა ორგანოებმა ვერ გამოავლინეს მათი ნიშნები საწყის სტადიაზე, არ გამოიჩინეს თავდადება მათი განვითარების თავიდან ასაცილებლად ან ვერ შეძლეს ეფექტური და კოორდინირებული მოქმედებების ორგანიზება მათ აღმოსაფხვრელად. სახელმწიფოებმა უნდა მხარი დაუჭირონ ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე შესაბამისი ორგანოების კოორდინირებულ მოქმედებას, რაც ხელს შეუწყობს უმცირესობათა ყველა დონეზე ინტეგრაციის უფრო ფართო სტრატეგიას. ამ მიზნით უნდა ფორმალური სტრუქტურები და პარტნიორობა უნდა დამყარდეს. პოლიციის და ხელისუფლების სხვა ორგანოების ერთობლივი მოქმედება, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობით უნდა აღიქმებოდეს როგორც მრავალეროვან საზოგადოებაში ერთიანობის მიღწევის პროცესის განუყოფელი ნაწილი.